ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 6 სექტემბერი, 2022 | №175 (8953) | ფასი: 80 თეთრი



გვ.5

## სოსო გოგაშვილის ოჯახი დაცვას და უსაფრთხოებას ითხოვს

## საქართველომ თურქეთს ომსა და ჩხუბში მოუგო




გვ.7

# „დატოვა „ახალი თაობა“ და დაგვტოვა ძველი თაობის დიდი არმია!“

გვ.2-3




„დაგვაკლდა ღირსეული კაცი, რომელიც არასდროს, არავისთან გარიგებული არ ყოფილა“

# სოსო გოგინაშვილი — პურის და წყლის კაცი




## „ნიკა მელიას განცხადება არარეალურია“



გვ.2

სოსო ცინცაძე: „მთავარი ოპოზიციური ძალა როდესაც ხარ, ბევრად უფრო გათვლილი ტაქტიკა და მოქმედებაა საჭირო“

## მიხეილ სააკაშვილი: „ამ მომენტიდან უკრაინელები და არა რუსები კარნახობენ ომის წესებს“

გვ.4





გვ.3

## ხატია დეკანოიძე: „დიახ, ხიდაშელის, მამაცაშვილების, რუხაძის უკრაინის მიერ დასანქცირება პირველი ნაბიჯია“

## „ბიჭი“ — ირაკლი ზარქუა ზურაბ ჯაფარიძეზე



გვ.2




გვ.4

## ოკუპირებულ აფხაზეთში მოსალოდნელია პროტესტის აზვირთება

6 სექტემბერს აფხაზეთის ომის ვეტერანები მოქმედების გეგმების შესათანხმებლად იკრიბებიან

1993230720223

**3** ივანიშვილის ადვოკატის პირველი კომენტარი „ოცნების“ დამფუძნებლის შესაძლო სანქცირებაზე

**5** კაცი, რომელმაც ცოლი სასიკვდილოდ დაჭრა, დაკავებულია

**5** ქურდმა კათოლიკურ სკოლაში ჯვარცმის გამოყენებით შეაღწია

**6** ჩინეთში ძლიერ მიწისძვრას 46 ადამიანი ემსხვერპლა, არიან დაშავებულები

# სოსო გოგინაშვილი — პურის და წყლის კაცი

ჯერ ვწერდით ტექსტს. „ვწერდით“-ში იგულისხმება, რომ სანამ თვითონ ვისწავლიდით კომპიუტერზე ბეჭდვას, მბეჭდავს ვეჯექით გვერდით და ვკარნახობდით. მერე ჯდებოდა სოსო, წაიკითხავდა, გასასწორებელს გაასწორებდა („ზმნა ბოლოში!“ – ამას მაინც გიპოვიდა, სხვას თუ ვერაფერს). მერე ვარქმევდით სათაურს ერთად. შესაძლოა, ტექსტში შეტანილ მცირე კორექტივსაც კი გადაეწყვიტა სათაურის ბედი. ამიტომ თავიდანვე ან გზადაგზა არა – სათაური მხოლოდ ტექსტის დასრულების შემდეგ.

ახლა ვწერ ტექსტს, რომელსაც წინასწარვე აქვს სათაური: „პურის და წყლის კაცი“. ასე „დავასათაურე“ სოსო გოგინაშვილი გაცნობიდან მალევე.

„ახალ თაობაში“ ვმუშაობდი, – ამბობენ ჩემი კოლეგები.

„ახალ თაობაში“ ვწერდი, – ვამბობ მე, იმიტომ, რომ ჩემთვის ეს არ იყო მუშაობა, სამსახური სამსახურის ტრადიციული გაგებით. ეს იყო ადგილი, სადაც მივდიოდი ან იდეით თავში, ან დაწერილი ტექსტით და „სოსო არის“? – ვკითხულობდი შესვლისთანავე.

როგორც წესი, სოსო ყოველთვის იყო: ან კომპიუტერთან იჯდა და ტექსტს ასწორებდა, ან, როგორც იცოდა, თავზე ჰქონდა შემოწყობილი ხელები და დადიოდა ოთახიდან ოთახში. იმ იშვიათ შემთხვევებში, როცა სოსო არ იყო, უფერულდებოდა ის დღეც და ახალი სტატიის იდეაც, რადგან სოსოს სახე, უფრო სწორად, თვალები – ეს იყო ბარომეტრი, რითაც იზომებოდა მიტანილი იდეის საინტერესოობა.

(ოთახიდან ოთახში – ისე ვთქვი, თორემ „ახალი თაობა“ – ეს იყო ერთი დიდი სამუშაო ოთახი, საერთო სივრცე, ბოლოში შუშით პირობითად გამიჯნული მცირე სათათბირო სივრცით. კაბინეტი, რედაქტორის მისაღები, მდივანი – ძალიან გაეცინებოდა ამაზე).

თვალები, როგორც ბარომეტრი – ერთი შეხედვით არაფერი შედარებაა, თუ არ გინახავს, იდეის მოსმენისას, დამუშავებისას როგორ ეცვლებოდა თვალებში „წნევა“. შექება, საყვედური, დაეჭვება, გამხნევება, მოწონება, იმედგაცრუება, აღფრთოვანება პატარა ბიჭის აცეტებამდე – კადრის სისწრაფით, ყველაფერი ეხატებოდა თვალებში, ტიტრებივით. ამ „ტიტრებით“ და სულ რამდენიმე სიტყვით გაგრძნობინებდა, რატომ იყავი „მისიანი“, რა მოსწონდა შენს სტილში, რაზე უნდა გემუშავა. ასე, მაგალითად, მოსწონდა სარკაზმი ჩემს ნაწერებში და ისეთ ტექსტებს მიქვეყნებდა, ამ გადასახედიდან 90-იანების ქართული პრესა კი არა, მხოლოდ „შარლი ებდო“ რომ გარისკავდა. საკვირაო ნომრებში მიქვეყნებდა ასევე მინი-



ატურებს – ჩანაწერებს, აი, დღევანდელ ფეისბუქზე რომ ვწერთ სტატუსებს, იმ ტიპისას – ნოვატორი იყო და ეძებდა სათქმელის ახალ ფორმებს.

სხვა მხრივ – ის არ იყო მენტორი. უფრო სწორად, მენტორობა არ იყო მისი სტილი. ისე „შემთხვევით“ გასწავლიდა, იმ წამს (და შეიძლება კარგა ხანს) ვერც იგრძნობდი, რომ მისგან ისწავლე. „მხოლოდ პური და წყალი მქონია და ეს საკმარისია“ – მითხრა ერთხელ, ასე „შემთხვევით“, სიტყვას მოაყოლა, ჩვეულებრივ სამუშაო პროცესში.

წლების მერე, როცა არაერთხელ შემიხსენებია ჩემი თავისათვის: „პური და წყალი, ნანა!“ (როგორც ზომიერების საწყაო არც ძალიან მეტისკენ და არც ძალიან ნაკლებისკენ), მიფიქრია იმაზეც, რომ ვერცერთი რელიგია, ვერცერთი სულიერი ლიდერი (რომ მყოლოდა) ვერ შეძლებდა, 19-20 წლის ასაკში ჩაედო ჩემში ეს ერთი შეხედვით ასკეტური შინაარსის, მაგრამ გაცილებით ტევადი, უნივერსალური კოდი, რითაც დღემდე ვაკონტროლებ ჩემი ყოფიერების საზღვრებს.

სოსოს უდროო გარდაცვალება რომ გავიგე, პირველი, რაც გავიფიქრე და დავწერე, ეს იყო: „როგორ ვნანობ, რომ არ ვიჩქარე და არ ვუთხარი, რამხელა კვალი დატოვა ჩემში და რა მნიშვნელოვანი პიროვნება იყო“ -მეთქი, ახლა ვფიქრობ: ერთადერთი, მხოლოდ იმისთვის ღირდა ამის თქმა, რომ მენახა ტიტრები, რაც ამ დროს „დაეწერებოდა“ თვალებში, თორემ სხვა მხრივ, მან ჩვენზე კარგად იცოდა და ხედავდა, თითოეულ „თაობელს,“ მათ შორის მეც, რა გაატანა საგზლად.

და რადგან უხვსიტყვაობა არ იყო მისი სტილი, ვცდილობ, მოკლედ გავუმეორო თავს, რა გამომაყოლა „ახალი თაობიდან“:

რომ: „პური და წყალი, ნანა“;

რომ: „თუ ეხები, უნდა შეეხო!“ (კენწვლა არაა ჟურნალისტიკა);

რომ: „არასოდეს დაწერო იმისთვის, რომ ვინმეს ასიამოვნო!“

რომ: „ზმნა ბოლოში! – ქართულს უხდება“....

კიდევ ბევრი ასეთი „რომ“. ბოლოს ისიც, რომ მე შევძლებდი, ვყოფილიყავი რედაქტორი „ახალი თაობის“ საკვირაო ნომრების. ესეც ერთ-ერთი მინიშნება-კოდივით იყო – ამ შემოთავაზებიდან მალევე სხვა გაზეთის რედაქტორი გავხდი.

ჩვენ არ დავრჩენილვართ მეგობრებად – მეგობრობის შეთამამებული, ხშირი ურთიერთმოკითხვის გაგებით. ის რიდი და პატივისცემა, რაც მქონდა, მე ვერ გადამალახვინებდა „ბატონი სოსოს“ იქით ზღვარს, ვერც მერე, როცა ასაკმა წაშალა უფროს-უმცროსობის კვალი. სოსო რჩებოდა და დარჩება ჩემთვის მეტრად, იმ უკაბინეტო რედაქტორის სიმბოლოდ, რომელიც 90-იანებში, თავისუფალი ჟურნალისტიკის გარიჟრაჟზე, პურზე და წყალზე აკეთებდა გაზეთს.

თუ შეიძლება, რომ დამკვიდრდეს ტერმინი: დამოუკიდებელი საქართველოს ჟურნალისტიკის „დამფუძნებელი მამები,“ სოსო გოგინაშვილი ერთ-ერთი პირველი უნდა ჩაიწეროს ამ ჩამონათვალში, როგორც გამორჩეულად ღირსეული, რომანტიკული მედიაეპოქის შემქმნელი და ახალი მედიასტანდარტის დამწესებელი.

ეს – ქართული ჟურნალისტიკის ისტორიისთვის.

მათთვის კი, ვისაც გაუმართლა და უნივერსალური კოდები იჩუქა მისგან, დარჩება უბრალოდ სოსოდ – ზმნის „წავიდა“ გარეშე.

„სოსო არის?“

კი, სოსო არის.

სულ იქნება.

**ნანა აკობიძე**

# „ნიკა მელიას განცხადება არარეალურია“

## სოსო ცინცაძე: „მთავარი ოპოზიციური ძალა როდესაც ხარ, ბევრად უფრო გათვლილი ტაქტიკა და მოქმედებაა საჭირო“

**ნათია ხურცილავა**

**პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო სოსო, ნიკა მელიას განცხადება, რომ პოლიტიკური კრიზისის განსამუხტად ვადამდელი არჩევნები უნდა ჩაინიშნოს, რამდენად რეალურად მიგაჩნიათ?***

– არარეალურია. არავითარი სიახლე არ იგრძნობა ამ განცხადებაში. არ იგრძნობა არც ტაქტიკის ცვლილება და არც ანალიტიკური მსჯელობა. ქვეყანაში ჯერ კიდევ არ გაცოცხლებულა პოლიტიკური ცხოვრება და ასეთი განცხადებით გამოდის ერთ-ერთი მთავარი ოპოზიციური ძალის თავმჯდომარე.

ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მოქმედი საარჩევნო კოდექსით, არსებული საარჩევნო ბარიერით, ოპოზიციას ძალიან გაუჭირდება გამარჯვება. წინა არჩევნებთან შედარებით, დღეს ოპოზიცია ბევრად უფრო ფრაგმენტირებულია, კიდევ უფრო გახლეჩილია და კიდევ უფრო დაპირისპირებულია ერთმანეთთან. ამ ფონზე ასეთი განცხადების გაკეთება, მმართველი ძალა თანახმაც რომ იყოს რიგგარეშე არჩევნებზე, არ შეიძლება.




***– საარჩევნო კოდექსის ცვლილება ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია ოპოზიციისთვის. თუმცა, ბარიერის დაწევა რამდენად აწყობს ნაციონალურ მოძრაობას?***

– საქმეც ეგაა. ოპოზიციაში ერთი პარტია, რომელსაც არ აწყობს საარჩევნო ბარიერის დაწევა, ნაციონალური მოძრაობაა. ამ განცხადებით კიდევ უფრო გადაიკიდებენ წვრილ-წვრილ პარტიებს ნაციონალები. ამიტომ, როდესაც ასეთი განცხადება კეთდება, ის გათვლილი და კარგად გააზრებული უნდა იყოს.

ვერ გეტყვით, შეიძლება არის კიდევ გათვლილი და კარგადაც გააზრებული, მაგრამ ერთი შეხედვით ეს ნამდვილად არ იგრძნობა.

***– ამომრჩევლისთვის სიახლე უნდა შეეთავაზებინა?***

– რა თქმა უნდა. ორი წელია ვადამდელი არჩევნები გვესმის, მაგრამ რაიმე შედეგი მოჰყვა – არავითარი! ახალი პოლიტიკური სეზონიდან სიახლე უნდა შეეთავაზებინათ ამომრჩევლისთვის. ხალხმა უნდა იგრძნოს, ოპოზიცია მზად არის მთელი პასუხისმგებლობისთვის, რომ ოპოზიცია სიახლეების სრული პაკეტით გამოდის და არა იგივე თემით, რომელსაც შედეგი აგერ უკვე ორი წელია არ მოყოლია. ხალხი კარგად ხვდება, რომ მხოლოდ სურვილი და განცხადებები არ არის საკმარისი, რომ მთავარი მოქმედებაა. მთავარი სამუშაოების შესრულებაა და არა განცხადება.

იცით, როდის ექნებოდა ეფექტი რიგგარეშე არჩევნებზე საგანგებო განცხადებას? თუ ის მიებმებოდა ევროკავშირის საბოლოო უარს. თუ ევროკავშირი გვეტყოდა, კანდიდატის სტატუსს ვერ მიიღებთ, რადგან ხელისუფლებამ ვერ შეასრულა 12-პუნქტიანი გეგმა. ამ შემთხვევაში ნამდვილად ექნებოდა ამ განცხადებას დატვირთვა.

***– ევროკავშირისგან ასეთ პასუხს ელოდებით?***

– რთული სათქმელია. საბოლოო პასუხი ძალიან ბევრ რამეზე იქნება დამოკიდებული, მაგრამ ღმერთმა ნუ ქნას, რომ ევროკავშირმა საბოლოოდ გვითხრას უარი. ამას ძალიან ცუდი რამ შეიძლება მოყვეს.



ამიტომ ვამბობ, რომ დღეს ასეთი განცხადების გაკეთება არის ფუჭი გასროლა. პოლიტიკაში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს დროს, მის კარგად შერჩევას. ახლაც იგივე განცხადებით გამოხვიდე, როდესაც ჯერ მხოლოდ მუშა პროცესია და მაშინაც, თუ უარს გვეტყვიან, იგივე განცხადებით გამოხვიდე, ეს არ იქნება რელევანტური.

***– თქვენ თქვით, შეიძლება ამ განცხადების უკან რაღაც ტაქტიკა იმალებოდეს, რა შეიძლება ასეთი იყოს?***

– „ქართული ოცნების“ ხისტი უარი, მაგრამ ეს ბევრად უფრო ეფექტური იქნებოდა ევროკავშირის პასუხის შემდეგ. ცხადია, გააჩნია პასუხს, მაგრამ ახლა ნამდვილად არის ფუჭი გასროლა და რჩება შთაბეჭდილება, რომ განცხადება განცხადებისთვის არის გაკეთებული, რომ ვინმემ არ დამაბრალოს, რატომ ვარ ჩუმად. მთავარი ოპოზიციური ძალა როდესაც ხარ, ბევრად უფრო გათვლილი ტაქტიკა და მოქმედებაა საჭირო. დასავლური, დემოკრატიული ქვეყნების გამოცდილების არგუმენტად მოყვანა არ არის საკმარისი. გასაგებია, რომ იტალიაში, ისრაელში ლამის ყოველ მესამე თვეს რიგგარეშე არჩევნები რომ ინიშნება. საქართველოში სულ სხვა პოლიტიკური რეალობაა, რომელსაც, სამწუხაროდ, ოპოზიცია ვერასდროს ხვდება მომზადებული. ოპოზიციამ ახლა მთელი აქცენტი ერთ მუშტად შეკვრასა და საერთო ღირებულებების აკუმულირებაზე უნდა მოახდინოს, რომ ხალხმა მათი ირწმუნოს. ოპოზიციის მთავარი პრობლემა ისაა, რომ ხალხს რწმენა დაუბრუნოს. რამდენად შეძლებენ, ვერ გეტყვით, რადგან ეს რთული ამოცანაა.

## „გიჟი“ – ირაკლი ზარქუა ზურაბ ჯაფარიძეზე



– მთელი საქართველო აქცენტირებული ვართ, რამენაირად 12-პუნქტიანი გეგმა შედგეს, შევასრულოთ, რომ კანდიდატის სტატუსი მივიღოთ, სადაც პირველი პუნქტი იყო დეპოლარიზაცია. ამისკენ მოგვიწოდებენ და დღეს გამოვიდა ჯიგარი, რამდენი ხანია არ ჩანს და რა თქვა? – ვადამდელი არჩევნებისთვის მზადება. მეორე რომ ჰყავთ კიდევ, გიჟი ჯაფარა, ზომავს, საიდან შემოვარდეს პარლამენტში, ალყა როგორ შემოარტყას, მორიგი ახალგაზრდები როგორ ჩართონ იმ ტრაგედიაში, რაც ვიხილეთ, ტრაგედია იყო გომურის თემა, დაზარალებული ახალგაზრდები, მათ შორის, ძალოვნები. მერე როგორც ხდება, ეს არშემდგარი რადიკალები რომ გავიდნენ, ბუჩქებში დაიმალონ და ახალგაზრდები დატოვონ პირისპირ.

ნაცმოძრაობის ლიდერი რომ იყო ბატონი სააკაშვილი და იქიდან მოძლვრავდა, მაშინ ვერ ააგორეს რევოლუცია და ახლა როცა გაემიჯნა, საერთოდ არ ვინტერესდები საქართველოთიო, ხაბეიშვილს და მელიას 17 კაცი გაჰყვება. ნიკა მელიას მოვუწოდებ, აზრი დაატანოს და სახე შეინარჩუნოს. რა ვადამდელი არჩევნები?! საფუძველი არ აქვს და თავს იგდებს სასაცილო მდგომარეობაში. თან წარმოდგენილი ჰყავთ წარმომადგენლები პარლამენტსა და თვითმმართველობებში და უნდათ ვადამდელი, თავს იგდებენ სასაცილო მდგომარეობაში, – „ოცნების“ დეპუტატი ზარქუა მელიას განცხადებაზე.

ISSN 1987-9385

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „დატოვა „ახალი თაობა“ და დაგვტოვა ძველი თაობის დიდი არმია!“



## „დაგვაკლდა ღირსეული კაცი, რომელიც არასდროს, არავისთან გარიგებული არ ყოფილა“

ნონა ცაბაძე

დღეს კიდევ უფრო მიმძიმს წერა, მიმძიმს იმიტომ, რომ ეს გამოსამშვიდობებელი ნომერია. „ახალი თაობა“ სოსო გოგინაშვილს ემშვიდობება, – ვწერ ამ სიტყვებს და თითებს ვერ ვიმორჩილებ, სიტყვებს ვერ წარმოვთქვამ. ვერ წარმომიდგენია როგორი იქნება ეს გაზეთი თქვენ გარეშე. ჩვენ, ყველამ ერთად დავკარგეთ დიდი მეგობარი, ჩვენი დიდი გულშემატკივარი.

სოსო გოგინაშვილს დიდი სიყვარულით იხსენებენ გაზეთიდან წასული ჟურნალისტები.

### დარეჯან მეფარიშვილი – „ახალი თაობის“ ყოფილი ჟურნალისტი:



– „ახალ თაობაში“ მისვლამდე „ახალი თაობა“ ჩემთვის თავისუფლების კუნძული იყო. გასული საუკუნის 90-იანი წლებში, ჩემს თაობასთან ერთად გამოვიდა „იატაკქვეშეთიდან“, აიდგა ფეხი, აზვირთდა, შევიდა ყველა ოჯახში და საქართველოსთან ერთად გაიზარდა. სწორედ ეს და ასეთი იყო „ახალი თაობა“! ერთ-ერთი პირველი ქართული, თავისუფალი და სამართლიანი სიტყვა.

პირველად „ახალი თაობა“ ჩემმა რუსულის მასწავლებელმა, აწგარდაცვლილმა ცისანა ბოჭორიშვილმა წამაკითხა!

დახლს ქვემოდან, ჩუმად ყიდდნენ... სამტრედიაში! ცისანა მასწავლებელს კი ყოველთვის ჰქონდა გაზეთი, საიდანაც ეროვნული სული, მართალი სიტყვა და სამშობლოს სიყვარული მოდიოდა!

***– დარეჯან, გახსოვს პირველი შეხვედრა, ის ემოცია?***

– არასდროს დამავიწყდება ჩემი და სოსო გოგინაშვილის პირველი შეხვედრა. „რა თემებზე შეგიძლია იმუშაო“, – ეს იყო ერთადერთი კითხვა და პასუხის შემდეგ მითხრა: „კარგი, დაწერე და მოიტანე“.

მივიტანე. ერთი კვირა გავიდა და არ დაიბეჭდა ჩემი პირველი ინტერვიუ, იმჟამინდელი თბილისის პოლიციის უფროსთან. ერთი კვირის შემდეგ რედაქციაში მივედი. სოსო შემომეგება. არ ველოდი ასეთ თბილი შეხვედრას. „სად დაიკარგე, რატომ არ მოიტანე სტატია?“ – მკითხა და როცა მიზეზი ვუთხარი, ისე თბილად გამიღიმა, მივხვდი „ახალი თაობიდან“ არსად წამსვლელი არ ვიყავი: „მოიტანე, მოიტანე, ის ინტერვიუ კვირის ნომერში მინდა, აი, ხვალ გავა და ზეგ რას შესთავაზებ შენს მკითხველს?“

სოსო მთელი ერთი თვე მასწავლიდა, როგორ უნდა დამეწერა სტატია, მე ხომ პირველ ნაბიჯებს ვდგამდი... მასწავლიდა, რა განსხვავება იყო ოქმსა და საგაზეთო წერილს შორის. ერთი თვის შემდეგ მითხრა: „ახლა შეგიძლია უჩემოდ იმუშაო“.

„აი, ეს იქნება შენი მაგიდა, კომპიუტერი და სკამი“ – მიმითითა და იყო ხვალ, ზეგ, მაზეგ... მრავალი წელი.

***– „ახალი თაობა“ ეს არის ერთი დიდი ოჯახი.***

– უკიდეგანოდ ნიჭიერი კაცი იყო სოსო გოგინაშვილი! მან რედაქცია კი არა, ჟურნალისტებისაგან შემდგარი ოჯახი შექმნა, სადაც ჭირსა და ლხინის დროს ერთად ვიდექით ადამიანები, ვინც ინფორმაციას ვქმნიდით, ვინც სიმართლისა და სამართლიანობისთვის თავსაც ვწირავდით და ზუსტად ვიცოდით, რომ ჩვენ სოსო გოგინაშვილი გვიმაგრებდა ზურგს, რომ ის არასდროს მიგვატოვებდა და რომ ის ჩვენთან ერთად დაიცავდა სიმართლეს!

ბედნიერი ვარ, რომ სწორედ „ახალ თაობაში“ ვთქვი ჩემი პირველი საჯარო და სამართლიანი სიტყვა! – მადლობა ამისთვის იმ ადამიანებს, ვინც საქართველოს „ახალი თაობა“ აჩუქა!

ჩვენი სოსო წავიდა! აღარ არის!

და დატოვა „ახალი თაობა“, ძველი თაობის დიდი არმია!

მადლობა, სოსო, თავისუფლებისა და „ახალი თაობისთვის“!

ღმერთმა ნათელში გამყოფოს!

### დარეჯან ლიპარტელიანი – „ახალი თაობის“ ყოფილი ჟურნალისტი:



– 3 ივლისს, ჩემმა კოლეგამ და მეგობარმა – ლალი ასლანიშვილმა ფოტო მესენჯერში ჩამიგდო და მითხრა, – ნახე, რა ფოტო აღმოვაჩინე, გაიხარეო... ვაიმე, რა მაგარია, სოსოსთან ფოტო მქონია გადაღებული-თქო, ყველაზე მეტად მისი დანახვა გამიხარდა-თქო... მართლა ძალიან გამიხარდა, მაგრამ მაშინ ფბ-ს დაბლოკილი ვყავდი და ეს ფოტო ვერ დავდე, ამასობაში, როგორც ხდება ხოლმე, მიმავიწყდა.

გუშინ, 3 სექტემბერს კი, ისევ ლალი ასლანიშვილისგან გავიგე პოსტით, რომ ჩვენი სოსო, ჩვენი ნათელი, მშვიდი, გაწონასწორებული და სისუფთავის განსახიერება კაცი, სოსო გოგინაშვილი აღარ არის, გარდაიცვალა!!!!!...

***– როგორ გახსენდება „ახალ თაობაში“ და სოსოს გვერდით გატარებული პერიოდი?***

– როგორ მტკივა გული და როგორი მოულოდნელი იყო ეს ამბავი, ჩვენი სოსო, გაზეთ „ახალი თაობის“ შემქმნელი, სუფთა და ულალატო კაცი, ასე უცებ წავიდა. უამრავი სიკეთე მახსოვს მისგან და უამრავი რამ ვისწავლე, როგორც ადამიანისგან. მან ერთხელ მითხრა, როგორც რედაქტორმა, პირველმა, ასეთი რამ... დარეჯან, როცა შენს სკანდალურ მასალებს ვეცნობი, ასე მგონია, რომ მუდამ უარყოფითს ეძებ და ამასობაში, მთავარი ყურადღების მიღმა გრჩება, ის მიზეზი, თუ რატომ ჩაიდინა დამნაშავემ დანაშაული და რამ მიიყვანა ის ამ ზომამდეო.... ჩემო სოსო, მახსოვს, ჩემს სტატიებს, მუდამ ქარცეცხლში ატარებდი და ერთხელ, წავიბურდღუნე, – რას მერჩი, სოსო, რა დაგიშავე-მეთქი? არაფერი არ დაგიშავებია, დარეჯან, პირიქით, უფრო მაგარი, არგუმენტირებული და მტკიცებულებით გაჯერებული მინდა იყოს შენი სტატიები და რეიტინგი უფრო მაღლა მინდა ავუწიოო... არადა, ყველა შენიშვნაში, მუდამ მართალი იყო, ჩვენი უკეთილშობილესი სოსო.

თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ბეჭდურმა მედიამ დიდი დანაკლისი განიცადა, ქვეყანას და ქალაქს დააკლდა ძალიან ღირსეული და პატიოსანი ადამიანი, პროფესიონალი, რომელიც, არასდროს, არავისთან გარიგებული არ ყოფილა და მუდამ თავისი პრინციპების ერთგული იყო და დარჩა ასეთად, ბოლომდე...

„ახალი თაობის“ ყველა ჟურნალისტს, ყოფილს თუ მოქმედს, ვუსამძიმრებ ღირსეული ადამიანის, დამფუძნებლისა და მთავარი რედაქტორის, სოსო გოგინაშვილის გარდაცვალებას!

მსუბუქი იყოს, სოსო, შენთვის მშობლიური მიწა და შენმა სუფთა სულმა დაიმკვიდროს ცათა სასუფეველი, ამინ!

მშვიდობით სოსო და ნახვამდის!

### სოსო ზაალიშვილი – „ახალი თაობის“ ყოფილი ჟურნალისტი:



– სოსო, ძალიან საყვარელი ადამიანი. ის არ იყო ჩემი რედაქტორი, ის იყო ჩემი მეგობარი, ძმა, შეიძლება, უფრო მასწავლებელი.

***– რას გაიხსენებდი სოსო?***

– მახსოვს, პოლიტიკაზე რომ დავწერე პირველად, მითხრა, რა სპორტი, რა კულტურა, შენი საქმე პოლიტიკააო.

ფენოვანი ხაჭაპურის გემოც მახსოვს, ღამე რომ მივირთმევდით, სანამ გაზეთი სტამბაში წავიდოდა დასაბეჭდად. სიტყვა „დოზაკლიც“ მახსოვს, ფორმა, რომელზეც გაზეთი ამოდიოდა. ეეჰ, სოსო, მართლა კარგი ადამიანი ხარ. იყავის არ ვამბობ. ხარ და სულ ხარ შეხვედრამდე.

## ივანიშვილის ადვოკატის პირველი კომენტარი „ოცნების“ დამფუძნებლის შესაძლო სანქცირებაზე

– ჩვენ ვმუშაობთ დავაზე და ამ დავის ფარგლებში ეს საკითხი არ განიხილება“ – ამის შესახებ ადვოკატი ვიქტორ ყიფიანი ბიძინა ივანიშვილის შესაძლო სანქცირებასთან დაკავშირებით დასმული შეკითხვის დროს საუბრობს. ის არ პასუხობს შეკითხვას, რამდენი საათის განმავლობაში პასუხობდა ბიძინა ივანიშვილი სინგაპურის სასამართლოს კითხვებს, თუმცა ამბობს, რომ ბიძინა ივანიშვილთან „მხოლოდ დავასთან დაკავშირებით საუბრობს“.

არანაირ კავშირში არ არის დავასთან, რომელსაც მე ვაწარმოებ. ამიტომ, მე კომენტარს ვერ გავაკეთებ (ჟურნალისტი: როგორია ბიძინა ივანიშვილის პოზიცია, ამ საკითხზე არ გისაუბრიათ?), მხოლოდ დავასთან დაკავშირებით ვსაუბრობთ. [ჟურნალისტი: ეს ხომ ახალი მიზეზი შეიძლება იყოს სანქციების?] ვერ გავაკეთებ კომენტარს იმაზე, რაც არ მიმაჩნია საგნობრივად რაიმე კავშირი ჰქონდეს დავასთან... ჩვენ ვმუშაობთ დავაზე და ამ დავის ფარგლებში ეს საკითხი არ განიხილება... აქტიური სასამართლო სხდომის მიმდინარეობის დროს რაიმე კომენტარების გაკეთება მიზანშეწონილი არ არის. [ჟურნალისტი: რაზე ისაუბრა? ღარიბაშვილი ახსენა? პირად ბანკირზე რა თქვა?] გაგიმეორებთ პასუხს – როდესაც მიმდინარეობს აქტიური სასამართლო სხდომა, მაშინ კომენტარების გაკეთება მიზანშეწონილი არ არის... ძალიან გასაგებად ვსაუბრობ, – ამბობს ვიქტორ ყიფიანი.

## ხატია დეკანოიძე: „დიახ, ხიდაშელის, მამაცაშვილების, რუხაძის უკრაინის მიერ დასანქცირება პირველი ნაბიჯია“

– დიახ, ხიდაშელის, მამაცაშვილების, რუხაძის და ა.შ. უკრაინის მიერ დასანქცირება არის პირველი ნაბიჯი, რომ ეს ადამიანები ძალიან მალე მოხვდებიან საერთაშორისო პარტნიორების სანქციების ნუსხაში, – ასე ეხმაურება ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ხატია დეკანოიძე უკრაინის მიერ ივანიშვილისა და მისი გარემოცვის დასანქცირების მოთხოვნას.



მოგეხსენებათ, რომ სააგენტოს და უკრაინული მხარის მიერ ამ ადამიანების საერთაშორისო სქემების და რუსეთთან კავშირის გამოქვეყნებამ რეალურად არ შეიძლება მხოლოდ უკრაინის ტერიტორიაზე ჰპოვოს გავრცელება, ეს სქემები, რა თქმა უნდა, გადაეცემა ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებს. ჩვენ, მე მინდა ძალიან გულწრფელად გითხრათ, რომ ამაზე ჩვენ ვმუშაობთ დიდი ხანია, რომ ჩვენმა საერთაშორისო პარტნიორებმა იცოდნენ, თუ ვინ არის ბიძინა ივანიშვილი, – ამბობს დეკანოიძე.

# ოკუპირებულ აფხაზეთში მოსალოდნელია პროტესტის აზვირთება

## 6 სექტემბერს აფხაზეთის ომის ვეტერანები მოქმედების გეგმების შესათანხმებლად იკრიბებიან

მარიამ მჭედლიშვილი

ოკუპირებულ აფხაზეთში დიდი პროტესტი მწიფდება. უახლოესი მომავალი ოკუპირებული აფხაზეთისთვის მხოლოდ ბიჭვინთის ცნობილი „სახელმწიფო აგარაკის“ ბედის განსაზღვრის პერიოდი არ იქნება.

ოკუპირებული რესპუბლიკის პარლამენტი მალე გადაწყვეტს, მოახდინოს თუ არა იმ შეთანხმების რატიფიკაცია, რომელიც ბიჭვინთის აგარაკის რუსეთისთვის სამუდამოდ გადაცემას ეხება. აფხაზეთის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა რატიფიკაციისა და რუსეთისთვის (და სხვა სახელმწიფოებისთვისაც) უძრავი ქონების ობიექტების გადაცემის წინააღმდეგია. დათქმა, რომ ბიჭვინთაში რუსეთს მხოლოდ შენობები მიაქვს, აგარაკის მიმდებარე მიწის ნაკვეთი იჯარის წესით სხვისდება, ხალხს ვერ აწყნარებს.




### ბიჭვინთის აგარაკის გარდა, რაზე ბობოქრობენ აფხაზეთში

საზოგადოების პროტესტი, რომლის ნიშნები უკვე გამოიკვეთა, არ ეხება მარტო ბიჭვინთის იმ კომპლექსს, რომლითაც საბჭოთა კავშირის ბელადები სარგებლობდნენ, 1995 წლის შეთანხმებით კი რუსეთის ფედერაციას იჯარით აქვს აღებული. საუბარია სხვა ობიექტების გასხვისებაზე. ამაზე ღიად ისაუბრა რუსეთის დე ფაქტო ელჩმა აფხაზეთში.

ამ ყველაფერს თან ერთვის გეოპოლიტიკური რყევების შიში. აფხაზეთში ნათლად ხედავენ მათი „მარჩენალი“ რუსეთის არამომგებიან მდგომარეობას უკრაინაში შეჭრის შემდეგ. მღელვარებაა იმის გამოც, რომ საოკუპაციო ადმინისტრაცია აანონსებს აფხაზეთის შეყვანას რუსეთ-ბელარუსის სამოკავშირეო სახელმწიფოში. შესაბამისი განცხადებები მოსკოვში გააკეთა დე ფაქტო პრეზიდენტმა ასლან ბჟანიამ, მოგვიანებით კი ე. წ. საგარეო მინისტრმა ინალ არძინბამ. აფხაზეთის „დამოუკიდებლობა“. აფხაზები ცდილობენ შეინარჩუნონ ავტონომიის ის ელემენტები, რომლებიც ახლა აქვთ.

აფხაზეთის საზოგადოებისთვის მიუღებელია უძრავი ქონების გასხვისება. განსაკუთრებით, მიწის ყიდვა-გაყიდვა, რაც კანონმდებლობით აკრძალულია. რუსეთიდან გახმიანდა, რომ მიწის ყიდვა-გაყიდვაც მალე დაიწყება.

პოლიტიკოსმა ზიუგანოვმა გამოაცხადა, რომ აფხაზეთის შესვლის შემდეგ რუსეთ-ბელარუსის კავშირში რუსეთის მოქალაქეებს გაუადვილდებათ მიწის ნაკვეთების ყიდვა აფხაზეთში.

### რის შემდეგ გაფართოვდა პროტესტი

ოკუპირებული აფხაზეთის აქტივისტი ქალები ამ დღეებში შეხვდნენ ე. წ. რუსეთის ელჩ შურგალინს. ქალებმა კრემლის წარგზავნილს აუხსნეს, რა მღელვარებას იწვევს ბიჭვინთის საკითხი ხალხში და მოუწოდეს მას, მიიღოს ზომები ამ შეთანხმების გასაუქმებლად. აფხაზეთის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ობიექტის გასხვისება გამოიწვევს ანტირუსული განწყობების გაღვივებას საზოგადოებაში.

– ჩვენ არ გვინდა, რომ სიტუაცია კონტროლიდან გამოვიდეს. არ გვინდა, მოხდეს ძალისმიერი დაპირისპირება საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის. არ გვსურს, რომ ჩვენს საზოგადოებაში რუსეთის საწინააღმდეგო განწყობა გაჩნდეს, – უთხრეს აფხაზმა ქალებმა კრემლის წარმომადგენელს.

ელჩის პასუხებმა აფხაზეთის საზოგადოებას თავზარი დასცა. პუტინის დესპანმა შეხვედრისას არ დამალა, რომ ბიჭვინთის აგარაკს აფხაზეთის სხვა ობიექტებიც მიჰყვება. შურგალინის სიტყვებს რამდენიმე საპასუხო პრესკონფერენცია მოჰყვა. გაისმა პირადად შურგალინის საწინააღმდეგო განცხადებები, აღშფოთება ბჟანია-ანქვაბის ხელისუფლების ქმედებებით, პუტინს კი ოკუპირებულ აფხაზეთში ჯერჯერობით თავის სახელს ვერ არქმევენ.

„აფხაზეთის სუვერენიტეტის ხსნის კომიტეტმა“ გამოაცხადა, რომ რუსეთისთვის ბიჭვინთის აგარაკის გადაცემა უკარგავს აფხაზ ხალხს ეკონომიკურ ბაზას და საკუთარი მომავლის კონტროლის საშუალებას.

– შურგალინმა ქალებთან შეხვედრისას განაცხადა, რომ ბიჭვინთის აგარაკი ლაკმუსის ქაღალდია, რომელსაც მოჰყვება კიდევ დაახლოებით ოცი პროექტი. ამან გამოიწვია სერიოზული შეშფოთება, – აღნიშნა კომიტეტის წევრმა ლევან მიქაამ.




მისი თქმით, ანგარიშს არ უწევენ აფხაზეთის კონსტიტუციას. თუ ასეთი სქემით გასხვისდება კიდევ 18 ობიექტი, „ჩვენ ვერ გადავწყვეტთ ჩვენს ბედს“.

პოლიტიკური პარტია „აფხაზეთის სახალხო ერთიანობის ფორუმის“ თავმჯდომარე ასლან ბარციცი დარწმუნებულია, რომ სხვა ქვეყნების მოქალაქეებისთვის მიწების გასხვისების გეგმები ბოლოს მოუღებს პროექტს სახელწოდებით „აფხაზეთის დამოუკიდებელი სახელმწიფო“.

– ბიჭვინთა არის ლაკმუსის ქაღალდი ტილიანობაზე. თუ ჩვენ ამას დადებითად გადავწყვეტთ, ამას მოჰყვება აფხაზეთის მიწების ფაქტობრივად ლეგიტიმური ყიდვა-გაყიდვა. თუ მიწის ყიდვა-გაყიდვის ნებართვა დაიშვება, აფხაზეთი გადაიქცევა რუსეთად 90-იან წლებში. აქ უარესი მოხდება. ადამიანები ფიზიკურად განადგურდებიან მიწის ერთი გოჯისათვის, – ამბობს ბარციცი.

### „აიააირა“ აქტიური მოქმედებებისთვის ემზადება

ვეტერანთა ორგანიზაცია „აიააირა“ 6 სექტემბერს სოხუმში შეკრებისკენ მოუწოდებს აფხაზეთის ომის გმირებს. ვეტერანები საპროტესტო მოქმედებების გეგმების დასახვას აპირებენ. 9 სექტემბერს გათვალისწინებულია აფხაზეთის ვეტერანებისა და მოქალაქეების ფართო ყრილობის გამართვა.

**„აიააირას“ წარმომადგენელი ვიანორ აშბა:**

– გარკვეული ხნის წინ პრეზიდენტმა ასლან ბჟანიამ განაცხადა სუვერენიტეტის გაყოფის შესახებ. ბიჭვინთა, სასაზღვრო სოფელი აიბგა, შავი ზღვის საკალმახე მეურნეობა და აეროპორტი რომ ავიღოთ, ეს მთლიანობაში დაახლოებით 1 200 ჰექტარი მიწაა. ასეთი ობიექტი დაახლოებით ოცია. გამოდის, რომ სრულად უარს ვამბობთ სუვერენიტეტზე... როცა მიმდინარეობს სპეცოპერაცია და ომი დონბასში, ჩვენთან გამწვავდა უძრავი ქონების გაყიდვის საკითხი. ელჩმა შურგალინმა მითხრა, რომ ვლადიმერ პუტინი ბიჭვინთის აგარაკების თაობაზე საქმის კურსშია. ელჩს არ უთქვამს, იცის თუ არა მან პრობლემის სიმწვავის შესახებ.

„აიააირას“ თავმჯდომარე მირონენკო, როგორც ჩანს, აფხაზების გულისტკივილს ვერ ჩასწვდა. თავმჯდომარე სიტუაციის გამწვავებაში რუსეთის მოწინააღმდეგეებს ადანაშაულებს, მტრებზე (მას ქართველები ჰყავს მხედველობაში) მიანიშნებს და რუსის ჯარით იმუქრება.

**ვადიმ მირონენკო:**

– რატომ გაჩნდა ეს საკითხი ახლა, რომ მესამე მსოფლიო ომი მიმდინარეობს? ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ. ცხვირწინ ვერ ვხედავთ მტრებს. მტრები რეალურად გვყავს... არის რეალური საბრძოლო მოქმედებები... ვლადიმერ პუტინი ჯერ ყველას ვერ მისწვდა, მაგრამ აუცილებლად მისწვდება... ეს საკითხები უნდა გადაიდოს, რომ არ იყოს კამათი რესპუბლიკაში. რისთვის კეთდება ეს ყველაფერი? ვინ აღვივებს ამას?

როგორც ჩანს, აფხაზეთში უახლოეს ხანში დიდი მღელვარება და ბევრი მოქმედება იქნება. გარკვეული დროის შემდეგ არ არის გამორიცხული, რომ აფხაზეთი სხვა გეოპოლიტიკურ სივრცეში აღმოჩნდეს, სადაც რუსეთის თვითნებობა არ იქნება.

# მიხეილ სააკაშვილი: „ამ მომენტიდან უკრაინელები და არა რუსები კარნახობენ ომის წესებს“

საქართველოს ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სოციალურ ქსელში განცხადებას ავრცელებს.

– ჩვენებმა საბოლოოდ აიღეს სტრატეგიული ინიციატივა საკუთარ ხელში, რაც ნიშნავს, რომ ამ მომენტიდან უკრაინელები და არა რუსები კარნახობენ ომის წესებს. გუშინ მათ მიაღწიეს დიდ წარმატებას დონბასში, გადალახეს რა მდინარე სევერსკი დონეცკი და აიღეს დასახლებული პუნქტები მარცხენა ნაპირზე. ხერსონში დამატებით აიღეს ორი დასახლებული პუნქტი.

რუსებმა შეძლეს დამატებით დაანონსებული 40 ათასი მებრძოლიდან, მხოლოდ 10 ათასი მებრძოლის შეკრება ახალი საარმიო კორპუსისთვის, რაც არაფერს ცვლის. უახლოეს ერთ-ორ კვირაში ევროპიდან ბრუნდება 40 ათასი გადამზადებული უკრაინელი მებრძოლი, რომელთაც გაიარეს სამთვიანი კურსი, მათ შორის დასავლური ტექნიკის გამოყენებაში.

გერმანიამ გამოაცხადა, რომ ოქტომბერში უკრაინას გადასცემს მსოფლიოში ყველაზე თანამედროვე ჰაერსაწინააღმდეგო სისტემას, ორი მსგავსი სისტემა უკვე მიდის ამერიკიდან სამხრეთ ფრონტზე. თვითონ უკრაინის ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის ეფექტურობა უკვე გაიზარდა 40%-იდან 70%-მდე, დასავლური ტექნიკა გაზრდის მინიმუმ 90%-მდე. ამერიკული ანტისარადარო სისტემების დახმარებით ხელახლა, სრული ძალით ამუშავდა ბაირახტარები, რომელთაც ადრე რუსული რადარები უშლიდა ხელს.

ახლა ახალი ამერიკული ტექნიკის დახმარებით რუსულ რადარებზე უკრაინელები ბევრად მარტივად ანადგურებენ. რუსების წარუმატებლობას დაემატა ისიც, რომ მათ მოუხდათ ირანული დრონების პირველი პარტიის უკან დაბრუნება ტექნიკური გაუმართაობის გამო. ბაიდენის ადმინისტრაციამ უკვე გამოყოფილ 48 მილიარდ დახმარებას კიდევ 14 დაამატა.

რომ შევადაროთ ავღანეთს, ათი წლის განმავლობაში



ამერიკა 100 მილიარდი დოლარით დაეხმარა და აქ ამ ციფრზე პენტაგონი ერთ წელიწადში გავა. ასევე, ამერიკის თავდაცვის სამინისტრომ დანიშნა ოპერაციის კოორდინატორი, გენერალი პირველად ამერიკის მხრიდან.

რაც შეეხება ხერსონს, იქ რუსების 25 ათასი დაჯგუფება ცეცხლის ალყაში იმყოფება და გასაქცევიც არსად აქვს, რაც ნიშნავს, რომ ან დაიხოცებიან, ან ტყვედ ჩაბარდებიან.

მოკლედ, საქმე უფრო უკეთესად მიდის, ვიდრე ოპტიმისტებსაც კი წარმოუდგენიათ.

მივესალმები თბილისში უკრაინის მხარდამჭერი საერთაშორისო კონფერენციის ჩატარებას. განვიხილავ ამას, როგორც მნიშვნელოვან პოლიტიკურ ჟესტს ყველას მხრიდან, – წერს მიხეილ სააკაშვილი.



# ღარიბაშვილი ბრიუსელში წავიდა

6 სექტემბერს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს მე-7 სხდომაში მიიღებს მონაწილეობას.

სამთავრობო დელეგაცია, მთავრობის მეთაურის ხელმძღვანელობით, ბრიუსელში დღეს გაემგზავრა.

მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, ვიზიტის ფარგლებში მთავრობის მეთაური მაღალი დონის შეხვედრებს გამართავს.

საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ხელმძღვანელობს, ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ლევან დავითაშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრი ილია დარჩიაშვილი და მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი რევაზ ჯაველიძე არიან.

# მიხაილო პოდოლიაკი: „ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს მისია უშედეგოა“

უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მრჩევლის, მიხაილო პოდოლიაკის განცხადებით, მთავრობა ჯერ კიდევ ელოდება ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ანგარიშს ზაპოროჟიეს ატომურ ელექტროსადგურზე არსებული ვითარების შესახებ. მისი თქმით, მისია, სავარაუდოდ, „უშედეგოა“.

– ჩვენ არ გვესმის, არის თუ არა იქ ყველაფერი ნორმაში უსაფრთხოებისა და რეაქტორების გაგრილების კუთხით, პერსონალის კუთხით, ესმით თუ არა მათ ალგორითმები, რომლითაც მუშაობენ. ეს ყველაფერი ანგარიშში არ გვინახავს და ეს ადასტურებს, რომ საერთაშორისო ინსტიტუტები, სამწუხაროდ, სრულიად არაეფექტურია, – აღნიშნა პოდოლიაკმა.

პოდოლიაკის თქმით, ქარხანაში უნდა ჩატარდეს „ბირთვული აუდიტი“, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ „ატომური ფიზიკისა და საინჟინრო ტექნოლოგიების მცოდნე ადამიანები“ უკრაინელ პერსონალთან ერთად. მანვე დასძინა, რომ რუსული ჯარები რისკებს სწორად ვერ აფასებენ.

– არიან რუსი სამხედროები, რომლებსაც არ ესმით, რა ხდება იქ, ისინი არ აფასებენ რისკებს სწორად. მაგრამ არის ჩვენი მუშების გარკვეული რაოდენობა, რომლებსაც სჭირდებათ დაცვა და ის, რომ მათ გვერდით საერთაშორისო საზოგადოება იდგეს, – განაცხადა პოდოლიაკმა.

# ფრიდონ ინჯია რეფერენდუმს ითხოვს

„მმართველ პარტიას, „ოცნებას“ გაცხადებული აქვს, რომ ისინი არ წარადგენენ სახალხო დამცველს. ასევე, ოპოზიციის გარკვეული ნაწილი ფიქრობს, რომ არ მიიღოს მონაწილეობა ამაში. ახლა გადავხედე, კონსტიტუციაში გვაქვს ჩვენ სახალხო დამცველის ინსტიტუტი, მაგრამ მსოფლიოში რამდენიმე ქვეყანაა, ხუთი, ექვსი, სადაც არის ასეთი ინსტიტუტი. ისეთ დემოკრატიულ ქვეყნებში, როგორიცაა, მაგალითად, აშშ, გერმანია, საფრანგეთი, არსად მსგავსი ინსტიტუტი არ არის. თუ ეს არ სჭირდება მმართველ პარტიას და არ უნდა მიიღოს ოპოზიციამ, მაშინ კონსტიტუციიდან ამოვიღოთ ან შევეკითხოთ ხალხს. გავაკეთოთ რეფერენდუმი, რამდენად საჭიროა ეს და როცა საჭირო იქნება და მივალთ კონსენსუსამდე, რომ უნდა იყოს პიროვნება, რომელიც მისაღები იქნება ყველასთვის, მაშინ მივიღოთ ეს კანონი. შევასრულოთ ყველამ კანონი, ავასრულოთ ყველამ კანონი და შეიძლება, არც იყოს საჭირო ეს ინსტიტუტი“ – თქვა პარლამენტის ბიუროს სხდომაზე, პარტია „ევროპელი სოციალისტების“ დეპუტატმა, ფრიდონ ინჯიამ სახალხო დამცველის ინტიტუტთან და კანდიდატურასთან დაკავშირებით.

# სოსო გოგაშვილის ოჯახი დაცვას და უსაფრთხოებას ითხოვს

სოსო გოგაშვილის მორიგი წერილი ციხიდან – სუს-ის ყოფილი მაღალჩინოსანი ამჯერად ე.წ. სკრიპალების საქმესთან დაკავშირებით საუბრობს.

კერძოდ, სოლიდარობის ნიშნით, რუსეთის საელჩოებში დიპლომატიურ საფარქვეშ მომუშავე სპეცაგენტების გაძევებაზე ქვეყნიდან. გოგაშვილი წერს, რომ ასეთი სპეცაგენტების სიის მომზადება მას დაევალა, შეადგინა კიდეც, თუმცა სია, გომელაურის ინფორმაციით, „ოცნებამ“ „შესათანხმებლად“ ჯერ მოსკოვში გაგზავნა, მოსკოვმა კი მხოლოდ ერთი ქალბატონის მონაცემები გადმოგზავნა, რომელიც სიაში საერთოდ არ ეწერა.

– Рუსული ოცნება ნაწილი პირველი – სკრიპალების საქმე. „ქართული ოცნება“ არ არის პრორუსული ძალა, ის არის რუსული პარტია. რა თქმა უნდა, ე.წ. დეპუტატებს ყველას ამას არც ეტყვიან. ამიტომაც მზად არიან „დაიგინონ“, ამიტომ იმათთვის, ვინც ჯერ ისევ მზად არის „დაიგინოს'', ვურჩევ გაეცნონ ქვემოთ მოცემულ ინფორმაციას. ალბათ ყველას გახსოვთ დიდ ბრიტანეთში რუსეთის სპეცსამსახურების მიერ სკრიპალების „ნოვიჩოკით“ მოწამვლის ამბავი. მაშინ მთელი მსოფლიოს ცივილიზებულმა თანამეგობრობამ გადაწყვიტა მკაცრი პასუხი გაეცათ რუსეთისთვის. სოლიდარობის ნიშნად მათ რუსეთის საელჩოებში დიპლომატიურ საფარქვეშ მომუშავე სპეცაგენტები გააძევეს ქვეყნიდან. მოლაპარაკებების შედეგად საქართველომაც გადაწყვიტა ე.წ. სოლიდარობის აქციაში ჩართვა. პირადად მე დამევალა სია იმ სპეცაგენტების, რომლებიც მუშაობდნენ შვეიცარიის საელჩოს რუსეთის სექციაში. გავაკეთეთ 10-კაციანი სია („ფსბ“, „გრუ“ და „ევრ“) დიპლომატიურ საფარქვეშ მომუშავე სპეცაგენტების, რომელიც გადავეცი გომელაურს, რათა გადაეგზავნა საგარეო საქმეთა სამინისტროში. თუმცა სია გადაიგზავნა შესათანხმებლად ჯერ მოსკოვში. იქიდან გადმოგვცეს მხოლოდ ერთი ქალბატონის მონაცემები, რომელიც ამ სიაში საერთოდ არ იყო. ის მუშაობდა საელჩოში, მაგრამ არ იყო კავშირში სპეცსამსახურებთან და არ ჰქონდა დიპლომატის სტატუსი, იყო რიგითი თანამშრომელი. ჩვენი გადაგზავნილი სია გაგვიუქმეს, ჩვენმა რუსმა „ქოცებმა“, „შეგვაქეს“ კარგი მუშაობისთვის და გვითხრეს, რომ გაგვეძევებინა ეს ქალბატონი. თავის მხრივ რუსეთმა გამოგვიძევა ნამდვილი დიპლომატი. თქვენი უცხოელი პარტნიორები მიხვდნენ ამ სამარცხვინო ნაბიჯის მიზეზს, მაგრამ ხმამაღლა რეაგირება, ბუნებრივია, ამაზე არ მომხდარა. ეს გახლავთ ჩვენი სპეცსამსახურების ოკუპანტ რუსებთან კოლაბორაციის ერთ-ერთი მაგალითი. გაგრძელება იქნება სოსო გოგაშვილი, 306-ე საკანი, – ნათქვამია გოგაშვილის წერილში.



* * *

მას შემდეგ, რაც სოსო გოგაშვილმა საქართველოში რუსი აგენტების შესახებ ინფორმაცია სოციალურ ქსელში გაავრცელა, მისი ოჯახი ვარაუდობს, რომ სუსის ყოფილ მაღალჩინოსანზე ზეწოლა გაიზრდება.

გოგაშვილების ოჯახი მოუწოდებს არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებს, დაიცვან მათი უსაფრთხოება.

ეს განცხადება, რაც დღეს გავრცელდა, კიდევ ერთხელ ამტკიცებს მოქმედი ხელისუფლების კოლაბორაციას რუსულ სქემასთან. შესაძლოა, კიდევ უფრო მძიმე განცხადებები ვიხილოთ, რომელსაც გაავრცელებს მამაჩემი.

ველოდებით, რომ გაიზრდება ზეწოლა მამაჩემზე, თუნდაც ციხეში, თუნდაც ვითომ 24 საათის მეთვალყურეობის ქვეშ, რადგან შესაძლოა, რატი ბრეგაძემ აღნიშნოს, რომ გარკვეული ხარვეზის გამო გაითიშა კამერები და იმ განცხადებების გამო, რაზეც საუბრობს მამაჩემი, შესაძლოა, მის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქროს, ასევე, ჩვენს სიცოცხლესაც.

მოვუწოდებ შესაბამის არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ყველა სტრუქტურას, რომ დაიცვან ჩვენი უსაფრთხოება!

შეცდომა მოქმედი ხელისუფლების მხრიდან, ან მათი გაკეთებული კომენტარი მამაჩემის საქმესთან დაკავშირებით, ისევ და ისევ მათ წინააღმდეგ იქნება გამოყენებული, – აცხადებს ნინი გოგაშვილი.

## ამოღებულია დიდი რაოდენობით არადეკლარირებული სიგარეტი



31 აგვისტოს, საბაჟო გამშვებ პუნქტებში „სარფი“, „სადახლო-საავტომობილო“ და „კარწახი“, არადეკლარირებული სიგარეტის ქვეყნის საზღვარზე კანონდარღვევით შემოტანის მცდელობის ფაქტები აღიკვეთა.

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, საქართველოს, ირანის, თურქეთისა და სომხეთის რესპუბლიკების მოქალაქეების, ფიზიკური და კუთვნილი ბარგის, ასევე მათი მართვის ქვეშ არსებული ავტომანქანების, ეჭვის საფუძველზე, დეტალური დათვალიერების შედეგად, ჯამში – 43.280 ღერი არადეკლარირებული სიგარეტი აღმოაჩინეს.

საქართველოს საბაჟო კოდექსის 168-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეებს ჩამოერთვათ საქონელი და თითოეულს სანქციის სახით, ფულადი ჯარიმა, ათას-ათასი ლარის ოდენობით შეეფარდათ.

## „პოლიციის უფროსის პირადი პატიმარი ვიყავი“




ენმ-ის წევრმა, ენზელ მკოიანის ძმამ, არტურ მკოიანმა საპატიმრო დატოვა.

გათავისუფლების შემდეგ ის ამბობს, რომ ახალქალაქის პოლიციის უფროსის, შალვა ლომსაძის პირადი პატიმარი იყო, ვინაიდან ოპოზიციის წარმომადგენელია.

ის ადმინისტრაციული წესით, 11 დღით იყო დაკავებული, ამასთან, გრძელდება სისხლის სამართლის წესით გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების მუხლით.

არტურ მკოიანი 24 აგვისტოს, გამთენიისას საკუთარ სახლში დააკავეს. მის სახლში ჩატარდა ჩხრეკა. სამართალდამცველები იარაღს ეძებდნენ.

ოჯახის წევრების განცხადებით, მათ იარაღი არ ჰქონდათ, დაკავების მოტივი კი პოლიტიკურია, ვინაიდან არტურ მკოიანი ოპოზიციონერია.

დაკავებული „ქართული ოცნების“ ყოფილი წევრის, ენძელ მკოიანის ძმაა. არტურ მკოიანი 2018 წელს თავადაც იყო მმართველი პარტიის წარმომადგენელი.

დაკავებულის ცოლის თქმით, ახლა ოპოზიციაში მყოფი არტურ მკოიანის დაკავებას სათავეში ახალქალაქის პოლიციის უფროსი, შალვა ლომსაძე უდგას.

მინა მკოიანი ლომსაძეს ფიზიკურ ძალადობასა და სექსუალურ შევიწროებაშიც ადანაშაულებს. ქალი, რომლის ქმარიც გამთენიისას დააკავეს, ამბობს, რომ პოლიციის მაღალჩინოსანმა, შალვა ლომსაძემ 2021 წელს გაიტაცა და ძალადობა სცადა. საუბრობს სიცოცხლის მოსპობის მუქარაზეც. ქალს პოლიციისთვის არ მიუმართავს, რადგან, როგორც ამბობს, მას ემუქრებოდნენ.

მინა მკოიანმა არტურ მკოიანის დაკავების შემდეგ შალვა ლომსაძის საქმეზე პროკურატურას მიმართა. საქმეზე გამოძიება, არსებული ინფორმაციით, დაწყებული არ არის. შალვა ლომსაძე კი თანამდებობაზე რჩება.

## დიდი უბედურება — ავარიას მამა და 12 წლის შვილი შეეწირნენ



ცხინვალი-ახალგორის გზაზე, სოფელ დმენისთან ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. ავარიას მამა და 12 წლის შვილი ემსხვერპლა.

როგორც ოფიციალურ განცხადებაშია ნათქვამი, მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა და გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა.

– 62 წლის მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა, გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა, რის შედეგადაც ავტომობილი ამოტრიალდა. მიღებული ტრავმებისგან მამაკაცი ადგილზე გარდაიცვალა, მისი მცირეწლოვანი ვაჟი, ქალიშვილი და მეუღლე კი ცხინვალის საავადმყოფოში გადაიყვანეს. „ავარიისას ბიჭმა სიცოცხლესთან შეუთავსებელი ტრავმები მიიღო, ექიმებმა ყველაფერი გააკეთეს, რაც შეეძლოთ“ – აღნიშნულია ცხინვალის რესპუბლიკური საავადმყოფოს განცხადებაში. შემთხვევა 3 სექტემბერს მოხდა.

## ქურდმა კათოლიკურ სკოლაში ჯვარცმის გამოყენებით შეაღწია



ამერიკის კალიფორნიის შტატის ქალაქ ბელ-გარდენსში მდებარე კათოლიკურ სკოლაში ქურდმა ჯვარცმის გამოყენებით შეაღწია და ფული მოიპარა, რომელიც მოსწავლეების მგზავრობისთვის იყო გათვალისწინებული.

ბოროტმოქმედმა ჯვარცმა ფანჯრის გასალებად გამოიყენა და სკოლის შენობაში შეაღწია. ფანჯრიდან გადაძრომის შემდეგ მან ჯვარცმა მაგიდაზე დადო და ფულის ძებნას შეუდგა. საბოლოოდ უცნობმა 4,8 დოლარი გაიტაცა, რომელიც სასკოლო მგზავრობების ასანაზღაურებლად იყო განკუთვნილი. მომხდარი სათვალთვალო ვიდეოკამერების მიერ იქნა დაფიქსირებული.

ადგილობრივ პოლიციაში განაცხადეს, რომ ეს შესაძლოა პირველი შემთხვევა არ იყოს, როდესაც მამაკაცმა სკოლა გაქურდა. სასწავლო დაწესებულება მინიმუმ სამჯერ არის გაძარცული. სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები ვარაუდობენ, რომ ყველა შემთხვევაში შესაძლოა ერთი და იგივე პიროვნება მოქმედებდა. პოლიციამ ცხელ კვალზე დამნაშავის დაკავება ვერ შეძლო.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კაცი, რომელმაც ცოლი სასიკვდილოდ დაჭრა, დაკავებულია



პოლიციამ სიღნაღის მუნიციპალიტეტში მეუღლის განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე 1995 წელს დაბადებული პირი დააკავა. შინაგან საქმეთა სამინისტრო ოფიციალურ განცხადებას ავრცელებს.

– შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1995 წელს დაბადებული შ.ხ. ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 16-დან 20 წლამდე, ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოდბეში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე წარმოშობილი კონფლიქტის დროს, მეუღლე – 1995 წელს დაბადებული მ.ა. სანადირო თოფიდან გასროლით თავის არეში დაჭრა. დაჭრილი ქალი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

სამართალდამცველებმა შ.ხ. მომხდარიდან მალევე, ცხელ კვალზე დააკავეს.

## „გამოძიებით დადგინდა, ახლობელს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენებით დაემუქრა“

შინაგან საქმეთა სამინისტრომ 1982 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი ა.ხ., გამოძალვის ბრალდებით, თბილისში დააკავა. დანაშაული 4 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

– გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა თავისი ახლობლის დიდი ოდენობით ვალის გადახდა მოსთხოვა მოქალაქე ვ.ჩ.-ს, მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში კი მას სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენებით დაემუქრა. ვ.ჩ.-მ მოთხოვნილი თანხის ნაწილი ა.ხ.-ს გადასცა.



ბრალდებული, ვალის სრულად გადაუხდელობის მოტივით, ტელეფონით რამდენჯერმე დაუკავშირდა ვ.ჩ.-ს და ძალადობის გამოყენების მუქარით, დარჩენილი თანხის გადახდა მოსთხოვა.

პოლიციამ, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, საქმეზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში განახორციელა ფარული საგამოძიებო მოქმედებები, ასევე, კომპლექსური საგამოძიებო-საპროცესო მოქმედებები, რის შედეგადაც დადასტურდა ა.ხ.-ის მიერ ვ.ჩ.-ის მიმართ ჩადენილი უკანონო ქმედებები, – ნათქვამია განცხადებაში.

სამართალდამცველებმა ა.ხ., საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დაზარალებულის მიერ დარჩენილი თანხის გადაცემის შემდეგ, ბრალდებულის სახით დააკავეს.

გამოძალვის ფაქტზე გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის 1-ელი ნაწილით.

## ავარიას 5 წლის ბავშვი შეეწირა

მცირეწლოვანი ემსხვერპლა ავტოსაგზაო შემთხვევას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში. შემთხვევა სოფელ ზემო ქედში, ცენტრალურ მაგისტრალზე მოხდა.

ადგილობრივების ინფორმაციით, სხვა რეგიონიდან სოფელში სტუმრად მყოფი 5 წლის ბიჭი, გზაზე გადადიოდა, რა დროსაც მას მსუბუქი ავტომანქანა შეეჯახა.

– ოჯახი იყო სტუმრად ჩამოსული, ჭირის სუფრაზე. ეს ბავშვი სხვებთან ერთად ყოფილა. დანარჩენი ბავშვები უკან მიჰყვებოდნენ, ველოსიპედით. როგორც ჩანს, ჩქარა უნდოდა გადასვლა და ამასობაში, გზაზე მოძრავი ავტომანქანა შეეჯახა, – ამბობენ სოფელში.

ძლიერი შეჯახების შედეგად, მცირეწლოვანი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით დაიწყო.

## პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი — სანადირო თოფი ნივთმტკიცების სახით ამოიღო

ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილ განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 19-109-ე მუხლის „კ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს. – ნათქვამია განცხადებაში. შეგახსენებთ, რომ ბოდბეში, სავარაუდოდ, ქმრის მიერ დაჭრილია 27 წლის მარიამ აბაზაძე. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ დრომდე მძიმეა.

## ოზურგეთში მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერი ბანერი მოიპარეს

ოზურგეთში ნაციონალური მოძრაობის ოფისზე გაკრული საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მხარდასაჭერი ბანერები მოიპარეს.

როგორც ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები ამბობენ, ქურდობა დღეს, დილით მოხდა.

ვინ მოიპარა მიხეილ სააკაშვილის მხარდასაჭერი ბანერები, ჯერჯერობით უცნობია.

## ჩინეთში ძლიერ მიწისძვრას 46 ადამიანი ემსხვერპლა, არიან დაშავებულები

ჩინეთის სამხრეთ-დასავლეთით, სიჩუანის პროვინციაში, სადაც დღეს ძლიერი მიწისძვრა მოხდა, 46 ადამიანი გარდაიცვალა. მიწისძვრის სიძლიერემ 6.8 მაგნიტუდა შეადგინა. მომხდარის შედეგად, 50-ზე მეტი ადამიანი დაშავდა, 16 კი დაკარგულად ითვლება.

საერთო ჯამში, გარდძე-ტიბეტის ავტონომიურ პრეფექტურაში და ქალაქ იაანის პრეფექტურაში 50.000-ზე მეტი ადამიანი დროებით იძულებით გადაადგილებულია.

ჩინეთის ხელისუფლებამ 50 მილიონი იუანი (დაახლოებით 7,25 მილიონი აშშ დოლარი) გამოყო სამაშველო სამუშაოების განსახორციელებლად და სტიქიური უბედურების შედეგების აღმოსაფხვრელად.

პროვინციაში დაზიანებულია გზები, ელექტროგადამცემი ხაზები და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა. დაშავებულები საავადმყოფოში არიან გადაყვანილი. მაშველები ნანგრევებში ადამიანების ძებნას აგრძელებენ.

ცნობისთვის, ძლიერი ბიძგები დაფიქსირდა გარდძე-ტიბეტის ავტონომიურ რეგიონში, სადაც 1,1 მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვრობს.

## ირანის ნავთობის მინისტრი — მზად ვართ ვითამაშოთ დიდი როლი ნავთობის საერთაშორისო ბაზარზე

ირანი მზად არის ნავთობი მიაწოდოს საერთაშორისო ბაზრებს და იმუშაოს გლობალური ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, ამის შესახებ ირანის ნავთობის მინისტრმა ჯავად ოუჯიმ განაცხადა.



— როგორც ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მთავარი მწარმოებელი, ჩვენ ყოველთვის მზად ვართ ვითამაშოთ დიდი როლი ნავთობის საერთაშორისო ბაზარზე და დავეხმაროთ გლობალური ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფას, — განაცხადა მინისტრმა.

მანამდე, ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპიკერმა ნასერ კანანი ჩაფიმ განაცხადა, რომ თეირანი შეძლებს ევროპის ენერგეტიკული საჭიროებების უმეტესი ნაწილის დაკმაყოფილებას, თუ ბირთვული შეთანხმება მიიღწევა.

## ვოლოდიმირ ზელენსკი: „ბორის ჯონსონს უკრაინელი ხალხის სახელით მადლობა გადავუხადე“



უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ ბრიტანეთის ყოფილ პრემიერ-მინისტრთან ბორის ჯონსონთან შემაჯამებელი სატელეფონო საუბარი გამართა. ამის შესახებ ინფორმაციას უკრაინის პირველი პირი „ტვიტერზე“ ავრცელებს.

— გავმართე შემაჯამებელი საუბარი ბორის ჯონსონთან. უკრაინელი ხალხის სახელით მადლობა გადავუხადე პირადი სიმამაცის, პრინციპულობისა და გამორჩეული წვლილისთვის, რომელიც მან რუსეთის ფედერაციის აგრესიისთვის წინააღმდეგობის გაწევის პროცესში შეიტანა. მოუთმენლად ველი უკრაინის დიდ მეგობართან თანამშრომლობას, უკვე ახალი სტატუსით, — განაცხადა ვოლოდიმირ ზელენსკიმ.

ცნობისთვის, დღეს ბრიტანეთში პრემიერ-მინისტრის პოსტზე ქვეყნის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ლიზ ტრასი აირჩიეს.

## ბორის ჯონსონმა ლიზ ტრასს გამარჯვება მიულოცა



გაერთიანებული სამეფოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბორის ჯონსონმა ქვეყნის ახლად არჩეულ მთავრობის მეთაურს ლიზ ტრასს გამარჯვება მიულოცა. ამის შესახებ ბორის ჯონსონი სოციალურ ქსელ „ტვიტერზე“ წერს.

— ვულოცავ ლიზ ტრასს გამარჯვებას. მე ვიცი, რომ მას აქვს სწორი გეგმა ცხოვრების ღირებულების კრიზისთან გასამკლავებლად, ჩვენი პარტიის გაერთიანებისა და დიდებული სამუშაოს გასაგრძელებლად ჩვენი ქვეყნის გაერთიანებისა და უფრო მაღალ საფეხურზე აყვანის გზაზე. ახლა დროა, კონსერვატორები მას 100%-ით დაუდგნენ გვერდით, — განაცხადა ბორის ჯონსონმა.

ცნობისთვის, ბრიტანეთის ახალი პრემიერ-მინისტრი ლიზ ტრასი გახდა.

მმართველი „კონსერვატიული პარტიის“ კენჭისყრაში მან მისი მოწინააღმდეგე, ფინანსთა ყოფილი მინისტრი, რიში სუნაკი დაამარცხა.

ამომრჩეველთა აქტივობამ 82.6% შეადგინა. ლიზ ტრასმა 81.326, ხოლო ყოფილმა ფინანსთა მინისტრმა კი 60.399 ხმა მიიღო.

## დიმიტრი პესკოვი: „ევროპაში გაზის მიწოდების პრობლემები სანქციების გაუქმებამდე გაგრძელდება“



მილსადენ „ჩრდილოეთის ნაკადით“ გაზის მიწოდებასთან დაკავშირებული პრობლემები გაგრძელდება მანამ, ვიდრე სანქციები არ მოიხსნება, — ამის შესახებ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის პრესსპიკერმა, დიმიტრი პესკოვმა განაცხადა.

მისი თქმით, სანქციები ხელს უშლის მილსადენის აგრეგატების მომსახურებას.

— სატუმბთან დაკავშირებით პრობლემები წარმოიშვა დასავლური სახელმწიფოების, მათ შორის გერმანიისა და დიდი ბრიტანეთის მიერ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების გამო. არ არსებობს სხვა მიზეზები, რაც გამოიწვევს პრობლემებს სატუმბთან დაკავშირებით, — განუცხადა მან ჟურნალისტებს.

პესკოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სანქციების გამო, მილსადენის მთელი ექსპლუატაცია „ეფუძნება ერთ ბლოკს, რომელსაც სერიოზული მომსახურება სჭირდება“.

კითხვაზე, შესაძლებელია თუ არა იმის თქმა, რომ „ჩრდილოეთის ნაკადით“ გაზის მიწოდების საკითხი მთლიანად სანქციებზეა დამოკიდებული და მიწოდება განახლდება, თუ ეს სანქციები მოიხსნება ან შემსუბუქდება, პესკოვმა უპასუხა:

— რა თქმა უნდა, სწორედ ეს სანქციები, რომლებიც ხელს უშლის აგრეგატების მომსახურებას, ხელს უშლის მათ გადაადგილებას შესაბამისი სამართლებრივი გარანტიების გარეშე, რაც ხელს უშლის ამ სამართლებრივი გარანტიების გაცემასაც და ა.შ. სწორედ ეს სანქციები, რომლებიც შემოიღეს დასავლეთის სახელმწიფოებმა, სწორედ მათ მიიყვანეს სიტუაცია იქამდე, რასაც ახლა ვხედავთ.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## მამაკაცი პუმას თავს დაესხა და თავი გადაირჩინა



ამერიკის ვაშინგტონის შტატის ქალაქ პორტ-ანჯელესში მცხოვრებმა მამაკაცმა პუმას თავად დაასწრო თავდასხმა და ამით თავი გადაირჩინა.

ბარტ ბრაუნის თქმით, ტბა ანჯელესზე თევზაობის შემდეგ სახლში ბრუნდებოდა, როდესაც ბილიკის მახლობლად მჯდომ პუმას გადააწყდა. ამერიკელის მტკიცებით, მათ ერთმანეთს თვალებში ჩახედეს და ის მიხვდა, რომ მტაცებელი უკან დახევას არ აპირებდა.

— ვიგრძენი, რომ სადაცაა ის თავს დამესხმებოდა. სერიოზულად. ამას მეტად სერიოზულად ვამბობ, — განაცხადა ბრაუნმა.

მან გადაწყვიტა, რომ უეჭველად მოუწევდა მტაცებელთან შერკინება და ეს შესაძლოა მისთვის კარგად არ დასრულებულიყო.

— გავიფიქრე, რომ მოვკვდებოდი. ამისთვის მზად ვიყავი და გადავწყვიტე შევბრძოლებოდი, მიუხედავად იმისა, რომ ვიცოდი, დავმარცხდებოდი. გესმით? მაგრამ მაინც ვცდი, — იხსენებს ამერიკელი.

მან ძალები მოიკრიბა, თავი გაიმხნევა და ხელში ფანარმომარჯვებული ცხოველს თავს დაესხა. პუმამ ოდნავ უკან დაიხია, თუმცა წასვლას არ აპირებდა და ადამიანს თვალს არ აცილებდა. მაშინ ბრაუნი ისევ შეტევაზე გადავიდა და მტაცებელი აიძულა გაქცეულიყო. ამის შემდეგ ბრაუნმა გზა გააგრძელა, ხოლო პუმა აღარ გამოჩენილა.

## ალიგატორმა ველური ბუნების პარკის დირექტორს ხელი მოაჭამა



აშშ-ში ალიგატორი თავს დაესხა ველური ბუნების ექსპერტს ფლორიდის შტატში მდებარე Florida Gator Gardens-ის პარკიდან და ხელი იდაყვამდე მოაჭამა.

ალიგატორების პარკის 53 წლის დირექტორმა გრეგ გრაციანიმ განაცხადა, რომ რეპტილიებთან შვიდი წლის ასაკიდან მუშაობს. ჯერ კიდევ 2013 წელს მან კინაღამ ხელი დაკარგა ალიგატორის თავდასხმის შემდეგ, მაგრამ მაშინ მისთვის ხელის შენარჩუნება მოხერხდა. მას დროდადრო ტკივილები აწუხებდა, თუმცა ამან ვერ აიძულა საყვარელი საქმისთვის თავი დაენებებინა.

გრაციანიზე რეპტილიის მეორე თავდასხმა 17 აგვისტოს საღამოს მოხდა. თვითმხილველთა თქმით, მამაკაცი ჩვეულებრივ ერთ-ერთ ალიგატორთან მუშაობდა, როდესაც ის მას თავს დაესხა და კბილებით მარცხენა ხელში ჩააფრინდა. დაშავებული სასწრაფოდ საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი.

ექიმები მისთვის ხელის შენარჩუნებას შეეცადნენ, მაგრამ საბოლოოდ მისი იდაყვამდე ამპუტირება მოუხდათ. მალე გრაციანის ხელის პროთეზს დაუმზადებენ, რათა მან ისევ შეძლოს საყვარელი საქმის კეთება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

საზოგადოება

## ლაშა ბუღაძე: „სიყვარული ყოველთვის არააქტუალურია“

დასაწყისი მე-8 გვერდზე

იქნებ ევრიდიკეს სული სწორედ იმ მარადიული სიყვარულის არქეტიპია, რომელიც ყოველთვის იყო წარსულში და არასდროს არის აწმყო? პრუსტისეული ხედვით ხომ ყველა სამოთხე დაკარგული სამოთხეა და ის, რაც სინამდვილესთან შერიგების შესაძლებლობას იძლევა, მხოლოდ მეხსიერებაა, იდეალის გახსენება თუ გამოგონება, როცა სიყვარული დროის ლოგიკის მიღმაა, არასდროს არის გარეთ და ყოველთვის შიგნითაა — შენში.

და თუნდაც ეს იყოს ილუზია, განა არ ღირს, რომ დრო და დრო მაინც ჩავიდეთ ჰადესში, რათა არაცოცხალთა ბორგვაში სიყვარულის ძალა დავუბრუნოთ გაცვეთილ გულებს?!

ბოლოს და ბოლოს, ამას არ გავიხსენებთ, როცა პრუსტის არ იყოს, დაკარგული დროის მოპოვების საიდუმლოს მივაგნებთ რომანის (რომანის, როგორც სიცოცხლის მეტაფორის) დასასრულს: როგორ გვიყვარდა ტოტალური უსიყვარულობის ჟამს. როგორ ვცხოვრობდით ან ვერ ვცხოვრობდით სიყვარულთან ერთად და როგორ გავუფრთხილდით ან ვერ გავუფრთხილდით სიყვარულს, რომელიც, როგორც ყოველთვის, მოულოდნელად დაგვეცა თავზე და რატომღაც არააქტუალური გვეგონა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# შედეგები

## 5 სექტემბერი

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ბრაიტონი-ლესტერი ........ 5:2
მანჩესტერი-არსენალი ........ 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.არსენალი | 6 | 5 | 0 | 1 | 14-7 | 15 |
| 2.სიტი | 6 | 4 | 2 | 0 | 20-6 | 14 |
| 3.ტოტენჰემი | 6 | 4 | 2 | 0 | 12-5 | 14 |
| 4.ბრაიტონი | 6 | 4 | 1 | 1 | 11-5 | 13 |
| 5.მანჩესტერი | 6 | 4 | 0 | 2 | 8-8 | 12 |
| 6.ჩელსი | 6 | 3 | 1 | 2 | 8-9 | 10 |
| 7.ლივერპული | 6 | 2 | 3 | 1 | 15-6 | 9 |
| 8.ბრენტფორდი | 6 | 2 | 3 | 1 | 15-9 | 9 |
| 9.ლიდსი | 6 | 2 | 2 | 2 | 10-10 | 8 |
| 10.ფულემი | 6 | 2 | 2 | 2 | 9-9 | 8 |
| 11.ნიუკასლი | 6 | 1 | 4 | 1 | 7-6 | 7 |
| 12.საუთჰემპტონი | 6 | 2 | 1 | 3 | 7-10 | 7 |
| 13.ბორნმუთი | 6 | 2 | 1 | 3 | 5-18 | 7 |
| 14.ვულვზი | 6 | 1 | 3 | 2 | 3-4 | 6 |
| 15.კრ.პალასი | 6 | 1 | 3 | 2 | 7-9 | 6 |
| 16.ევერტონი | 6 | 0 | 4 | 2 | 4-6 | 4 |
| 17.ასტონ ვილა | 6 | 1 | 1 | 4 | 5-10 | 4 |
| 18.ვესტ ჰემი | 6 | 1 | 1 | 4 | 3-8 | 4 |
| 19.ნოტინგემი | 6 | 1 | 1 | 4 | 4-14 | 4 |
| 20.ლესტერი | 6 | 0 | 1 | 5 | 8-16 | 1 |

**ინგლისი. ჩემპიონშიპი**

რედინგი-სტოკი ........ 2:1
ჰადერსფილდი-ბლექპული ........ 0:1
ჰალი-შეფილდი ........ 0:2

**გერმანია. ბუნდესლიგა**

აუგსბურგი-ჰერტა ........ 0:2
გლადბახი-მაინცი ........ 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ფრაიბურგი | 5 | 4 | 0 | 1 | 10-5 | 12 |
| 2.დორტმუნდი | 5 | 4 | 0 | 1 | 8-4 | 12 |
| 3.ბაიერნი | 5 | 3 | 2 | 0 | 17-3 | 11 |
| 4.უნიონი | 5 | 3 | 2 | 0 | 12-4 | 11 |
| 5.მაინცი | 5 | 3 | 1 | 1 | 5-5 | 10 |
| 6.კიოლნი | 5 | 2 | 3 | 0 | 10-6 | 9 |
| 7.ჰოფენჰაიმი | 5 | 3 | 0 | 2 | 8-6 | 9 |
| 8.გლადბახი | 5 | 2 | 2 | 1 | 7-5 | 8 |
| 9.ვერდერი | 5 | 2 | 2 | 1 | 12-10 | 8 |
| 10.აინტრახტი | 5 | 2 | 2 | 1 | 11-11 | 8 |
| 11.ლაიფციგი | 5 | 1 | 2 | 2 | 6-9 | 5 |
| 12.შტუტგარტი | 5 | 0 | 4 | 1 | 4-5 | 4 |
| 13.ჰერტა | 5 | 1 | 1 | 3 | 4-6 | 4 |
| 14.ლევერკუზენი | 5 | 1 | 0 | 4 | 6-9 | 3 |
| 15.აუგსბურგი | 5 | 1 | 0 | 4 | 3-10 | 3 |
| 16.შალკე | 5 | 0 | 3 | 2 | 5-12 | 3 |
| 17.ვოლფსბურგი | 5 | 0 | 2 | 3 | 4-10 | 2 |
| 18.ბოხუმი | 5 | 0 | 0 | 5 | 3-15 | 0 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ჰანზა-ჰანოვერი ........ 0:1
დარმშტადი-არმინია ........ 1:1
ზანდჰაუზენი-კაიზერი ........ 0:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ოსასუნა-რაიო ........ 2:1
ბილბაო-ესპანიოლი ........ 0:1
ვილიარეალი-ელჩე ........ 4:0
ვალენსია-ხეტაფე ........ 5:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 4 | 4 | 0 | 0 | 11-4 | 12 |
| 2.ბარსელონა | 4 | 3 | 1 | 0 | 11-1 | 10 |
| 3.ვილიარეალი | 4 | 3 | 1 | 0 | 9-0 | 10 |
| 4.ბეტისი | 4 | 3 | 0 | 1 | 7-3 | 9 |
| 5.სოსიედადი | 4 | 2 | 1 | 1 | 4-5 | 7 |
| 6.ატლეტიკო | 4 | 2 | 1 | 1 | 5-3 | 7 |
| 7.ბილბაო | 4 | 2 | 1 | 1 | 5-1 | 7 |
| 8.სელტა | 4 | 2 | 1 | 1 | 7-6 | 7 |
| 9.ოსასუნა | 4 | 3 | 0 | 1 | 6-3 | 9 |
| 10.ვალენსია | 4 | 2 | 0 | 2 | 6-3 | 6 |
| 11.მალიორკა | 4 | 1 | 2 | 1 | 4-3 | 5 |
| 12.ხირონა | 4 | 1 | 1 | 2 | 4-4 | 4 |
| 13.ალმერია | 3 | 1 | 1 | 1 | 4-4 | 4 |
| 14.რაიო | 4 | 1 | 1 | 2 | 3-4 | 4 |
| 15.ესპანიოლი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-7 | 4 |
| 16.სევილია | 4 | 0 | 1 | 3 | 3-8 | 1 |
| 17.ვალიადოლიდი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-8 | 1 |
| 18.ელჩე | 4 | 0 | 1 | 3 | 1-9 | 1 |
| 19.ხეტაფე | 4 | 0 | 1 | 3 | 2-11 | 1 |
| 20.კადისი | 4 | 0 | 0 | 4 | 0-10 | 0 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ანდორა-გრანადა ........ 1:0
მალაგა-ალბასეტე ........ 1:2
ბურგოსი-კარტახენა ........ 1:0
უესკა-იბიცა ........ 3:0
სარაგოსა-ლუგო ........ 1:2

**იტალია. სერია ა**

კრემონეზე-სასუოლო ........ 0:0
სპეცია-ბოლონია ........ 2:2
ვერონა-სამპდორია ........ 2:1
უდინეზე-რომა ........ 4:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 5 | 3 | 2 | 0 | 12-4 | 11 |
| 2.მილანი | 5 | 3 | 2 | 0 | 10-5 | 11 |
| 3.ატალანტა | 4 | 3 | 1 | 0 | 7-2 | 10 |
| 4.უდინეზე | 5 | 3 | 1 | 1 | 9-5 | 10 |
| 5.რომა | 5 | 3 | 1 | 1 | 6-5 | 10 |
| 6.იუვენტუსი | 5 | 2 | 3 | 0 | 7-2 | 9 |
| 7.ინტერი | 5 | 3 | 0 | 2 | 11-8 | 9 |
| 8.ლაციო | 5 | 2 | 2 | 1 | 7-5 | 8 |
| 9.ტორინო | 4 | 2 | 1 | 1 | 5-5 | 7 |
| 10.ფიორენტინა | 5 | 1 | 3 | 1 | 4-4 | 6 |
| 11.სასუოლო | 5 | 1 | 3 | 1 | 3-5 | 6 |
| 12.სალერნიტანა | 4 | 1 | 2 | 1 | 5-2 | 5 |
| 13.ვერონა | 5 | 1 | 2 | 2 | 6-9 | 5 |
| 14.სპეცია | 5 | 1 | 2 | 2 | 5-9 | 5 |
| 15.ემპოლი | 4 | 0 | 3 | 1 | 2-3 | 3 |
| 16.ბოლონია | 5 | 0 | 3 | 2 | 5-8 | 3 |
| 17.ლეჩე | 4 | 0 | 2 | 2 | 3-5 | 2 |
| 18.სამპდორია | 5 | 0 | 2 | 3 | 2-9 | 2 |
| 19.კრემონეზე | 5 | 0 | 1 | 4 | 4-9 | 1 |
| 20.მონცა | 4 | 0 | 0 | 4 | 2-11 | 0 |

**იტალია. სერია ბ**

ზიუდტიროლი-პიზა ........ 2:1

**საფრანგეთი. ლიგა 1**

მონპელიე-ლილი ........ 1:3
აიაჩო-ლორიანი ........ 0:1
ბრესტი-სტრასბური ........ 1:1
კლერმონი-ტულუზა ........ 2:0
რეიმსი-ლანსი ........ 1:1
ტრუა-რენი ........ 1:1
ნიცა-მონაკო ........ 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 6 | 5 | 1 | 0 | 24-4 | 16 |
| 2.მარსელი | 6 | 5 | 1 | 0 | 13-3 | 16 |
| 3.ლანსი | 6 | 4 | 2 | 0 | 15-7 | 14 |
| 4.ლიონი | 5 | 4 | 1 | 0 | 14-4 | 13 |
| 5.ლილი | 6 | 3 | 1 | 2 | 13-13 | 10 |
| 6.ლორიანი | 5 | 3 | 1 | 1 | 8-8 | 10 |
| 7.მონპელიე | 6 | 3 | 0 | 3 | 16-12 | 9 |
| 8.კლერმონი | 6 | 3 | 0 | 3 | 8-10 | 9 |
| 9.რენი | 6 | 2 | 2 | 2 | 8-7 | 8 |
| 10.მონაკო | 6 | 2 | 2 | 2 | 8-11 | 8 |
| 11.ტრუა | 6 | 2 | 1 | 3 | 11-14 | 7 |
| 12.ოსერი | 6 | 2 | 1 | 3 | 7-11 | 7 |
| 13.ნანტი | 6 | 1 | 3 | 2 | 6-8 | 6 |
| 14.რეიმსი | 6 | 1 | 2 | 3 | 10-13 | 6 |
| 15.ტულუზა | 6 | 1 | 2 | 3 | 7-11 | 5 |
| 16.ნიცა | 6 | 1 | 2 | 3 | 4-8 | 5 |
| 17.ბრესტი | 6 | 1 | 2 | 3 | 8-16 | 5 |
| 18.სტრასბური | 6 | 0 | 4 | 2 | 5-7 | 4 |
| 19.ანჟე | 6 | 0 | 2 | 4 | 6-17 | 2 |
| 20.აიაჩო | 6 | 0 | 1 | 5 | 3-10 | 1 |

**ნიდერლანდები. ეკრედივიზიონი**

ვალვაიკი-ექსელსიორი ........ 5:2
ჰერენვენი-ნაიმეგენი ........ 0:0
ემენი-ალკმაარი ........ 0:3
გრონინგენი-ვიტესი ........ 0:1

**პორტუგალია. პრიმეირა დივიზიონი**

კასა პია-აროუკა ........ 0:0
სანტა კლარა-მარიტიმუ ........ 2:1
პორტიმონენშე-ფამილიკაუ ........ 1:0

**ბელგია. ა დივიზიონი**

ანდერლეხტი-ლეუვენი ........ 2:2
ანტვერპენი-ვესტერლო ........ 3:0
შარლერუა-გენტი ........ 2:1
ვარეგემი-სენ ჟილუა ........ 1:3

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ვოლფსბერგერი-კლაგენფურტი ........ 3:4
ალტახი-რაპიდი ........ 0:1
ლინცერი-რიდი ........ 1:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ჰატაი-ადანა ........ 1:1
ანკარაგიუჯიუ-ბეშიქთაში ........ 2:3

**ანკარაგიუჯიუს ორივე გოლი გიორგი ბერიძემ გაიტანა**

ანთალია-ქაშიმფაშა ........ 0:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ატრომიტოსი-პანეთოლიკოსი ........ 1:1
ვოლოსი-ოფი ........ 0:1
აეკი-იანინა ........ 2:0
არისი-პაოკი ........ 0:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ლუცერნი-სერვეტი ........ 0:2
გრასჰოპერსი-ვინთენთური ........ 3:0
სტ.გალენი-იანგ ბოიზი ........ 2:1

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ჰრადეც კრალოვე-ბანიკი ........ 0:0
ბრნო-ბოჰემიანსი 1905 ........ 1:2
პარდუბიცე-სიგმა ........ 0:2
სლოვაცკო-სლავია ........ 1:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ზაგლებიე-იაგელონია ........ 1:1
კორონა-პოგონი ........ 1:2
ლეხი-ვიძევი ........ 2:0

**უნგრეთი. 1 დივიზიონი**

კიშვარდა-ჰონვედი ........ 0:1
უიპეშტი-ფერენცვაროში ........ 0:6

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ჩერნომორეცი-ინგულეცი ........ 1:1
კრივბასი-ლვოვი ........ 0:0

**დანია. სუპერლიგა**

ლუნგბიუ-რანდერსი ........ 0:2
ოდენსე-ვიბორგი ........ 1:2
ჰორსენსი-ბრონდბიუ ........ 0:2
მიდტიულანდი-ოლბორგი ........ 0:2

**შვედეთი. ალსვენსკა**

სირიუსი-დიურგარდენი ........ 0:1
ჰეკენი-დეგერფორსი ........ 2:2
აიკი-სუნდსვალი ........ 4:0
ელფსბორგი-მალმიო ........ 3:2

**ნორვეგია. ელიტსერია**

კრისტიანსუნი-სანდერფიორდი ........ 3:1
ოდი-ერვი ........ 2:1
რუსენბორგი-ვიკინგი ........ 4:1
სარპსბორგი-ჰამკამი ........ 2:1
სტრომგოდსეტი-ალესუნდი ........ 1:2
ჰაუგესუნდი-ტრომსო ........ 2:1
ვალერენგა-ლილესტრიომი ........ 3:1

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# საქართველომ თურქეთს ომსა და ჩხუბში მოუგო

**თურქეთი-საქართველო 83:88 (2ოტ)**
**(25:19; 8:17; 16:17; 19:15; 7:7; 8:13)**

საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებმა ევრობასკეტი 2022-ზე პირველი გამარჯვება მოიპოვა. ილიას ზუროსის გაწვრთნილმა გუნდმა პირველად ითამაშა 2 ოვერტაიმი და ისტორიაში პირველად დაამარცხა თურქეთის ნაკრები – 88:83.

ეს გამარჯვება ორმაგად იმიტომ არის დასაფასებელი, რომ საქართველოს ნაკრებმა თითქმის განახევრებული შემადგენლობით ითამაშა. თავად განსაჯეთ: ევრობასკეტამდე გუნდს გამოაკლდა თორნიკე შენგელია; პირველ მატჩში მიღებული კოჭის ტრავმის გამო გუნდს გოგა ბითაძე ვერ დაეხმარა; მე-4 პერიოდში მეტოქესთან გაწევ-გამოწევის გამო დისკვალიფიკაცია მიიღო დუდა სანაძემ; ხოლო 5 ფოლის გამო ოვერტაიმი გიორგი შერმადინმა ვერ ითამაშა.

დიდი დანაკლისის მიუხედავად, საქართველოს ნაკრებმა ბოლომდე იბრძოლა და ფლეი ოფში გასვლისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა. 6-გუნდიანი ჯგუფიდან კი, ფლეი ოფში 4 საუკეთესო გადის. ოთხეულში მოსახვედრად საქართველოსთვის აუცილებელი იყო თურქეთთან გამარჯვება. ეს კალათბურთელებსაც კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული და პირველივე წუთებიდან მოედანზე სულ სხვა შემართებით გავიდნენ.

კალათბურთში ემოცია ძალიან ბევრს ნიშნავს. ჩვენს გუნდს ტრიბუნებიდან 10.000 ქომაგი ამხნევებდა და მუხტი მოედანზეც გადავიდა. მთელი თამაში თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა, მატჩის დასრულებამდე 5 წუთით ადრე დუდა სანაძის სამქულიანის შემდეგ საქართველო 62:59 დაწინაურდა. გავიდა სულ რაღაც ნახევარი წუთი და სანაძესა და ქორქმაზს შორის შელაპარაკება მოხდა, სიტუაცია ძალიან დაიძაბა და მატჩიც რამდენიმე წუთით შეწყდა. ხანგრძლივი განხილვის შემდეგ მსაჯებმა ორივე კალათბურთელი მოედნიდან გააძევეს.

საფინალო სირენამდე 2:52 წუთით ადრე მე-5 ჯარიმა მიიღო და მოედანი დატოვა გიორგი შერმადინმა, რაც საქართველოს ნაკრებისთვის დიდი დანაკლისი იყო.

ბოლო წუთს გუნდები თანაბარი ანგარიშით შეხვდნენ – 66:66. საფინალო სირენამდე 11 წამით ადრე თურქეთის შეტევა შედეგიანად დასრულდა – 68:66 სტუმართა სასარგებლოდ. საპასუხო შეტევაში კი სანდრო მამუკელაშვილმა ეფექტური ორქულიანი ჩააგდო და 2 წამით ადრე ანგარიში გათანაბრდა.

დამატებით დროში თურქეთის ნაკრები 5 ქულის სხვაობით დაწინაურდა. თუმცა თად მაკფადენის ორმა სამქულიანმა საქართველო თამაშში დააბრუნა – 75:75 და დაინიშნა მეორე ოვერტაიმი.

მეორე დამატებითი დროის დასრულებამდე ერთი წუთით ადრე მამუკელაშვილის სამქულიანით საქართველო 84:81 დაწინაურდა, ხოლო 21 წამით ადრე საჯარიმოს ხაზზე რატი ანდრონიკაშვილი დადგა. ამ დროს თურქეთის ნაკრების მწვრთნელმა ერგინ ატამანმა ტექნიკური ჯარიმა მიიღო, რაც ვიდეოგანხილვის შემდეგ მსაჯების მიერ გამოტანილ არასპორტულ ჯარიმას მოჰყვა. არასპორტული და ტექნიკური – საქართველომ დამატებითი საჯარიმოების ტყორცნის უფლება მოიპოვა, ანდრონიკაშვილისა და მაკფადენის საჯარიმოების შემდეგ ჩვენი ნაკრები 88:81 დაწინაურდა და თურქებს წარმატების იმედი გადაეწურათ.

ორივე გუნდის შემადგენლობაში გიორგი შერმადინთან ერთად საუკეთესო შედეგი დააფიქსირა სანდრო მამუკელაშვილმა, რომელმაც ორმაგი დუბლი 20 ქულითა და 12 მოხსნით გაიფორმა. შერმადინის ანგარიშზე 15 ქულა, 6 მოხსნა და თითო ჩაჭრა-დაფარება დაგროვდა. 15 ქულა, 3 მოხსნა, 3 პასი, 3 ჩაჭრა და 1 დაფარება მიითვალა რატი ანდრონიკაშვილმა, დუდა სანაძის ანგარიშზე კი 13 ქულა და 8 მოხსნა დაგროვდა. თად მაკფადენმა ბევრი სამქულიანი ააცილა (19-დან 4), მაგრამ მისი ბურთები საჭირო მომენტში ჩავარდა და თამაშის შედეგზე დიდი გავლენა მოახდინა. მისი მონაგარი 17 ქულა, 6 პასი და 4 მოხსნაა.

საქართველოს ნაკრები მორიგ მატჩს 6 სექტემბერს, ჯგუფის აუტსაიდერ ბულგარეთთან გამართავს.

ჩვენივე ჯგუფში ჩერნოგორიელებმა 91:81 ბულგარეთს მოუგეს, ხოლო ბელგიამ სენსაციურად ესპანეთი დაამარცხა – 83:73.

**ილიას ზუროსი:**

– სიტყვებს ვერ ვპოულობ, როგორ მივულოცო ჩემს კალათბურთელებს. ისინი საამაყოები იყვნენ ჩვენთვის, ყველასათვის, მთელი ქვეყნისთვის და ერისთვის. მათ პირველიდან ბოლო წამამდე იბრძოლეს. ჩვენ 50 წუთი კალათბურთი ვითამაშეთ! წამყვანი კალათბურთელები გვაკლია, თქვენ ეს იცით. გვაკლია გოგა, გვაკლია თოკოც. ზოგიერთმა თამაში ვერ დაასრულა. ჩვენთვის ამ თამაშის მოგება ძალიან მნიშვნელოვანი იყო! ასევე ვულოცავ ჩემს სამწვრთნელო შტაბს – მათ ამ დღეებში საოცარი სამუშაო გასწიეს.




გარდა ამისა, ასევე ვერ ვპოულობ სიტყვებს, როგორ გამოვხატო ჩემი სიყვარული ამ ხალხის მიმართ. გულშემატკივრებს ვგულისხმობ. საოცარი ატმოსფერო იყო, დაუჯერებელი გარემო. მათ ეს თამაში მოგვაგებინეს! მათ მოგვცეს ძალა, რომ უფრო და უფრო მაგრად გვებრძოლა. და ჩვენ მოვიგეთ ეს მატჩი შესანიშნავი გუნდის წინააღმდეგ, რომელსაც ძალიან მაგარი კალათბურთელები და ძალიან კარგი მწვრთნელი ჰყავს. კონცენტრირებულები უნდა ვიყოთ, ზეიმის უფლება ჯერ არ გვაქვს.

რა შანსები აქვს საქართველოს, რომ ჯგუფიდან გავიდეს? აქვე მინდა ვთქვა, რომ ჩვენ საქმე ჯერ ბოლომდე არ მიგვიყვანია. ეს მოგება უფრო თავდაჯერებისთვისაა კარგი. იმისათვის, რომ ჯგუფიდან გავიდეთ, კიდევ გვჭირდება გამარჯვება ბოლო თამაშში ჩერნოგორიასთან და პლუს გამარჯვება ბულგარეთთან, მანამდე. 3 მოგებით ჯგუფიდან გავალთ. თუ არადა, გვჭირდება 2 მოგება და დამოკიდებული ვიქნებით სხვა შედეგებზეც. კონცენტრირებულები უნდა ვიყოთ, ზეიმის უფლება ჯერ არ გვაქვს. არ უნდა ვიფიქროთ იმაზე, რა მოხდა დღეს. უნდა ვიფიქროთ იმაზე, რა იქნება მომდევნო დღეებში. კიდევ ერთხელ: ვულოცავ გულშემატკივრებს და თურქეთის ნაკრებს მომდევნო მატჩებში წარმატებას ვუსურვებ.

ყველა გამარჯვებით სიამოვნებას ვიღებ – განსაკუთრებით ასეთი დიდი გამარჯვებებით! საქართველოს ნაკრები ცდილობს, რომ გაიზარდოს და პროგრესი გააგრძელოს. სამწუხაროდ, წელს ყველა კალათბურთელი არ გვყავდა. ეს ისეთი ემოციებია, რაც არასდროს დაგავიწყდება. ძალიან ბედნიერი ვარ ჩემი კალათბურთელების გამო, ჩვენი ფანების გამო. ესპანეთთან იმედგაცრუებული ვიყავი, რადგან არ ვიბრძოლეთ და შეცდომები დავუშვით, თურქეთთან კი, პირიქით, ბედნიერი ვარ, რადგან ვაჩვენეთ, ვინ ვართ. განსაკუთრებით დაცვაში ვითამაშეთ კარგად.

**სანდრო მამუკელაშვილი:**

– ეს შესანიშნავი გამარჯვება იყო. დარბაზში სასწაული ატმოსფერო იყო! ფანებს სათანადო მადლობას ვერც გადავუხდი. საოცარი გულშემატკივრები გვყავს, თამაში მოგვაგებინეს. საწყისი 2 მატჩი წავაგეთ და ხალხი მაინც ასე გვქომაგობს, ასე გვიდგას მხარში. ასეთ ატმოსფეროში თურქეთის მსგავს კარგ გუნდთან თამაში ძალიან მაგარია. ასეთ გარემოში ყველას გაუჭირდება. მინდა, მადლობა ვუთხრა მათ! როგორც მწვრთნელმა თქვა, გოგას და თოკოს სახით 2 საუკეთესო მოთამაშე გვაკლია. ყველამ საოცრად ითამაშა, ანდრონიკაშვილმა, ჯინჭარაძემ... ყველამ საოცარი სამუშაო შეასრულა. ახლა, უბრალოდ, კონცენტრაცია უნდა შევინარჩუნოთ. უნდა დავმშვიდდეთ და მომდევნო მატჩებზე ვიყოთ ფოკუსირებულები.

თურქეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასისტენტმა, ჰაკან დემირმა განაცხადა, რომ თურქეთის ნაკრების კალათბურთელებს თავს ქართველები დაესხნენ.

თურქი ჟურნალისტი ისმაილ სენოლი პირდაპირ წერს, რომ გასახდელისკენ მიმავალ ფურკან კორკმაზს თავს თორნიკე შენგელია, გოგა ბითაძე და დუდა სანაძე დაესხნენ. მათთან ერთად დაცვის სამსახურის წევრიც იყო. სენოლი იმასაც წერს, რომ ჩხუბში ჩართვა მოუწია თურქთა გუნდის ერთ-ერთ მწვრთნელ ერენ ჰანგუნსაც, ვინც კორკმაზს მიაცილებდა.

**პრესკონფერენციაზე გაძევებული ერგინ ატამანი პრესკონფერენციას არ დაესწრო და მის ნაცვლად დემირი გამოცხადდა:**

– დერეფანში საქართველოს ნაკრების კალათბურთელები და დაცვის წევრები თავს დაგვესხნენ. კამერებს აუცილებლად შევამოწმებთ. აქ კალათბურთის სათამაშოდ ჩამოვედით, რაც მოედანზე ხდება, მოედანზე უნდა დარჩეს, მაგრამ დიდი სკანდალი მოედნის გარეთ მოხდა, რაც სპორტში მიუღებელია. ეს არ იყო კალათბურთი, ეს იყო სხვა რამ. მეტ სტუმართმოყვარეობას ველოდით, მეტ ჯენტლმენურ ქცევას. გასახდელისკენ მიმავალ ჩვენს კალათბურთელებს თავს საქართველოს ნაკრების მოთამაშეები და დაცვის წევრები დაესხნენ. თამაშის დროს ყველაფერი ხდება, მაგრამ მატჩის შემდეგ ყველამ უნდა სცეს ერთმანეთს პატივი. უნდა ვნახოთ ჩანაწერები.

საქართველომ დამსახურებულად მოიგო და ამ გამარჯვებას ვულოცავთ. არ არის პრობლემა, თუ დავმარცხდით ოვერტაიმში, ახლა ამას მნიშვნელობა არ აქვს. მნიშვნელობა აქვს იმას, რაც მერე მოხდა გასასვლელში. ამ ამბავს ბოლომდე მივყვებით.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ესპანეთი | 3 | 2 | 1 | 277-234 | 5 |
| 2.თურქეთი | 3 | 2 | 1 | 256-243 | 5 |
| 3.ჩერნოგორია | 3 | 2 | 1 | 235-223 | 5 |
| 4.ბელგია | 3 | 2 | 1 | 232-225 | 5 |
| 5.საქართველო | 3 | 1 | 2 | 228-252 | 4 |
| 6.ბულგარეთი | 3 | 0 | 3 | 255-306 | 3 |

# ალექსანდრე წივწივაძე მსოფლიო ჩემპიონია

18 წლის ალექსანდრე წივწივაძე მსოფლიოს ჩემპიონია. ქართველმა სპორტსმენმა თანატოლებში კანოეთი 500-მეტრიან დისტანციაზე ტიტულის შენარჩუნება მოახერხა.

წივწივაძემ შესარჩევ გაცურვაში საუკეთესო შედეგი აჩვენა და ფინალში პირველი ადგილით გავიდა. მედლისთვის ბრძოლაში კი, სტარტზე 9 სპორტსმენი დადგა.

ქართველი სპორტსმენი თავიდან ორ მეტოქეს ჩამორჩა, მაგრამ ბოლო, ასმეტრიან მონაკვეთზე სისწრაფეს უმატა და ორივე უკან მოიტოვა. 500 მეტრი ახალგაზრდა სპორტსმენმა წუთსა და 53 წამში (1:53:16) დაფარა და მეორე ადგილზე გასულ ესპანელს დანიელ გრიალბას (1:53:26) აჯობა.

წივწივაძემ 1000-მეტრიან დისტანციაზეც იასპარეზა და მე-8 ადგილით დაასრულა.

# წყალბურთელთა ნაკრებმა ისტორია დაწერა

ისტორია დაწერილია – საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები პირველი გუნდია, რომელიც გუნდურ სახეობებში ევროპის 8 საუკეთესო გუნდში მოხვდა.

ამბავი ხორვატიის ქალაქ სპლიტში მოხდა, სადაც საქართველოს ნაკრებმა მეოთხედფინალში გასასვლელი ფლეი ოფის მატჩი ნიდერლანდებს 12:8 მოუგო.

არადა, თამაში ცუდად დავიწყეთ და 1:3 ჩამოვრჩით, მაგრამ გუნდმა მშვიდად გააგრძელა გზა დასახული მიზნისკენ. ჯერ კიდევ პირველივე მეოთხედში სხვაობა შევამცირეთ, მეორე მეოთხედი კი, ერთი ამოსუნთქვით ჩავატარეთ და 6:4 დავწინაურდით.

მესამე მეოთხედმა თანაბრად ჩაიარა და ბოლო მეოთხედის წინ ანგარიში 8:6 იყო.

დასკვნით პერიოდში სხვაობა კიდევ უფრო გავზარდეთ. განსაკუთრებით მაგრად ითამაშა მეკარე ნიკოლოზ შუბლაძემ, ვინც რამდენიმე რთულ ბურთთან ერთად 5-მეტრიანის აღებაც მოახერხა. მთლიანად გუნდმა დაცვაში კარგად ითამაშა და შეტევაშიც შანსი გამოიყენა. მეოთხედფინალში ჩვენი გუნდი მასპინძელ ხორვატიას გაეჯიბრება. ყველაზე მაგარი კი ისაა, რომ შემდეგ ეტაპზე, თამაშის გარდა, დეიან სტანოიევიჩის გუნდმა მსოფლიო ჩემპიონატის საგზური მოიპოვა.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნილბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 2. თაიგულების შედგენის იაპონური ხელოვნება; 3. რაიმეს ცვლის, განვითარების პროცესი; 4. მზის გარშემო მოძრავი მცირე ზომის ციური სხეული; 5. ჩეხეთის ფეხბურთელთა გუნდი; 6. იაპონური იეროგლიფების სახელწოდება; 8. ისტორიული ციხე-ქალაქი საგარეჯოს რაიონში; 11. სამწახნაგოვანი პირის მქონე იტალიური ხანჯალი; 14. ბალნეოლოგიური კურორტი უკრაინის კარპატებში; 15. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 16. პროვინცია ირანში; 17. ესპანეთის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი; 19. ძვირფასი სარეწაო თევზი; 21. დრამატული ნაწარმოები; 22. ჩეხეთის დედაქალაქი.

**თარაზულად:** 1. კინოცენტრი იტალიაში; 5. ვახტანგ გორგასლის ვაჟიშვილი; 7. შაქრიანი დიაბეტის ძველი ქართული სახელწოდება; 9. მოძღვრება ავიაციის შესახებ; 10. ხმელთაშუა ზღვისპირეთში გავრცელებული სურნელოვანი ვაზის ჯიში; 12. იტალიური სახლების შიდა ეზო; 13. ჟანგბადის აღმომჩენი ინგლისელი ქიმიკოსი; 16. მონასტერი თეთრიწყაროს რაიონში; 17. ისტორიული სასტუმრო პარიზში; 18. ქართველი უფოლოგი; 20. ისტორიული მოედანი ლონდონში; 22. პერიოდულ გამოცემათა ერთობლიობა; 23. პოლონელი გრაფი, დიპლომატი, კომპოზიტორი; 24. აზერბაიჯანული მაწონი; 25. ხმელთაშუა და წითელი ზღვების დამაკავშირებელი ხელოვნური არხი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ქულბაქი; 2. ბაიადერა; 3. ლიძავა; 4. ჟიური; 5. ბირთვისი; 8. მასანდრა; 12. კობი; 13. საგურამო; 14. ანდაზა; 16. სახიობა; 18. ჯეზვე; 20. რაგუ.

**თარაზულად:** 6. ფუკუსიმა; 7. გრინფისი; 8. მერანი; 9. სარმა; 10. მელომანი; 11. დისკანტი; 15. მასტროიანი; 17. ნიკორა; 19. ზვარტნოცი; 21. დარბაზი; 22. კონსტებლი; 23. ბულემია.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 2. უმეცარი; 3. ხვაშიადი; 4. იზოლატორი; 5. მზისა; 6. ასკანა; 8. ფიესტა; 11. ზვარაკი; 14. ადრენალინი; 15. დანსინგი; 16. ნობელიუმი; 17. ტაშირი; 19. ტავერნა; 21. ჩელსი; 22. წაბლი.

**თარაზულად:** 1. ცუცხვათი; 5. მექა; 7. ჩაფიძე; 9. ჰემატოლოგია; 10. კაზრეთი; 12. ინფანტი; 13. ანორაკი; 16. ნიკოლაძე; 17. ტიკი; 18. სტელა; 20. სინოპეკი; 22. წინდა; 23. ლებარდე; 24. უემბლი; 25. სიონი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

6 სექტემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.8795

ევრო — 2.8599

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.3152

100 რუსული რუბლი — 4.7132

## ამინდის პროგნოზი 6 სექტემბრისთვის




## მარკუს რეშფორდი: „არსენალთან ძალიან კარგი შეხვედრა ჩავატარეთ“



მანჩესტერ იუნაიტედმა საკუთარ მოედანზე არსენალი დაამარცხა 3:1 და შეხვედრაში ორი გოლი მარკუს რეშფორდმა გაიტანა, რომელიც მოედანზე მეორე ტაიმში შევიდა. მატჩის შემდეგ მარკუსი თავის დადებით ემოციებს არ მალავდა: „ვიცოდით, რომ არსენალი ძალიან კარგ ფორმაში იყო, ამიტომ შეცდომის დაშვების უფლება არ გვქონდა. გულშემატკივარმა მხარი დაგვიჭირა და მათ მინდა, რომ მადლობა გადავუხადო“.

## ხავი: „ბარსელონა სწორ გზაზე დგას“



ბარსელონამ სეზონი საკმაოდ კარგად დაიწყო და გუნდმა სამ შეხვედრაში 11 გოლი გაიტანა და მხოლოდ 1 გაუშვა. ამის გარდა, ბარსელონა ძალიან სანახაობრივ ფეხბურთს აჩვენებს და ხავიმ სწორედ ამ გარემოებას გაუსვა ხაზი: „ძალიან კმაყოფილი ვარ გუნდის თამაშით და მინდა, რომ ბარსელონამ ასე გააგრძელოს, რადგან ჩვენი გულშემატკივარი ამას იმსახურებს. ჩვენ ყოველდღე ვმუშაობთ, რომ უკეთესები გავხდეთ“.

## სპალეტიმ კვარაცხელია კიდევ ერთხელ შეაქო



ნაპოლის მთავარმა მწვრთნელმა ლუჩიანო სპალეტიმ ხვიჩა კვარაცხელიაზე კიდევ ერთხელ ისაუბრა და თქვა, რომ ის ცხოვრებაში მორცხვია, მაგრამ მოედანზე თავდაჯერებული ხდება და მას დიდი პოტენციალი აქვს: „ხვიჩას შესანიშნავი მონაცემები აქვს და მან თავისი პოტენციალი ბოლომდე უნდა გამოიყენოს. სხვაგვარად, უბრალოდ, არ შეიძლება, რადგან ჩვენ, ყველას მისი დიდი იმედი გვაქვს“.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## იუმორი

ზოოპარკში ორი თანასოფლელი გორილას მისჩერებია. ერთი მეორეს ეუბნება:

– ხედავ, გორილას რამხელა ნესტოები აქვს.

– აბა, რა იქნება, შეხედე, რამსისქე თითები აქვს.

●●●

მოსამართლე მომჩივანს ეკითხება:

– თქვენი საჩივრის თანახმად, ბრალდებულმა გითხრათ, რომ სულელი ხართ. მართალია?

– დიახ, ბატონო მოსამართლევ, სრული სიმართლეა.

– და მაშინ რატომღა ჩივით?

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– ბიჭო, კონტრასტული შხაპი“ რა არის?

– რა და საუნიდან გოგონასთან ერთად გამოსულს წინ ცოლი დაგხვდება.

●●●

ქმარი ცოლს ეუბნება:

– ანუშ, როგორი ეკონომიური მყავხარ!

– რა მოხდა, არამ, რამე არ მოგეწონა?

– პირიქით, ცავატანემ! აღფრთოვანებული ვარ, როდესაც ვხედავ, როგორ აკერებ ჩემს „ნასკებს“ პაკეტების ჩაის ძაფით!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ხატია ბუნიათიშვილი ვენეციის კინოფესტივალის გახსნაზე ჩავიდა



მსოფლიოში აღიარებული ქართველი პიანისტი ხატია ბუნიათიშვილი ვენეციის რიგით 79-ე საერთაშორისო კინოფესტივალის გახსნაზე ჩავიდა. ხატიამ წითელ ხალიჩაზე ულამაზეს წითელ კაბაში გაიარა.

პიანისტი სამკაულების ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული ბრენდის „კარტიეს“ სახეა. მას „კარტიეს“ უძვირფასესი ყელსაბამი ეკეთა. ხატია ათასობით ფოტოგრაფის ობიექტივში მოექცა და მანაც დაუღალავად იპოზიორა.

ხატიას ფოტოები და ვიდეოები სოციალურ ქსელში მისმა დედამ ნატალი ბუნიათიშვილმა გაავრცელა:

– ხატია ვენეციის კინოფესტივალის გახსნაზე – კარტიეს თანხლებით.

ვამაყობ, დედი, შენით! ჩემო ბედნიერებავ!

## ლიზი გოგუამ გერმანულ „ვოისში“ მწვრთნელები შემოატრიალა



18 წლის ქართველმა მომღერალმა ლიზი გოგუამ გერმანულ „ვოისში“ მიიღო მონაწილეობა და ბრმა მოსმენაზე ეტა ჯეიმსის ერთ-ერთი ჰიტი შეასრულა.

ლიზის შესრულებამ სამი მწვრთნელი მოხიბლა და სამივე მათგანი ქართველ კონკურსანტს დაუფიქრებლად შემოუბრუნდა.

გოგონა უკვე 2 წელია გერმანიაში ცხოვრობს და სიმღერა მისი სიცოცხლის მთავარი მამოძრავებელი ძალაა

## ნინო ანანიაშვილი იტალიაში დააჯილდოვეს



იტალიის კუნძულ კაპრიზე, ნინო ანანიაშვილს ყოველწლიური საერთაშორისო პრემია გადაეცა.

დაჯილდოების ცერემონია საზეიმო ვითარებაში გაიმართა და მას საპატიო სტუმრები ესწრებოდნენ. სხვადასხვა წლებში ეს ჯილდო მიღებული აქვთ ბალეტის სამყაროში ცნობილ სახელებს: კარლა ფრაჩის, ვიქტორ ულატეს, ლუჩიანა სავინიანოს, ვლადიმირ ვასილიევს...

დაჯილდოების შემდეგ გაიმართა გალა-კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის წამყვანმა სოლისტებმა ნინო სამადაშვილმა, ეკატერინე სურმავამ და ოსკარ ფრეიმმა მიიღეს.

# ლაშა ბუღაძე: „სიყვარული ყოველთვის არააქტუალურია“

ასე მიაჩნია მწერალსა და დრამატურგს ლაშა ბუღაძეს და თავის მოსაზრებას საკმაოდ ვრცლად განმარტავს. „სიყვარულზე უსიყვარულო დროს“ – ასე ჰქვია ლაშა ბუღაძის წერილს, რომელსაც „ახალი თაობა“ გთავაზობთ:

– სიყვარული ყოველთვის არააქტუალურია და როგორც წესი, უდროო დროს მოდის, მისთვის ვერ ვიცლით და ვეღარც დიდ მნიშვნელობას ვხედავთ მასში, რადგან სინამდვილე უსიყვარულობას გვაჩვევს.

ყველა დიდი ისტორია, რომელიც დიდ სიყვარულთან არის დაკავშირებული, ერთსა და იმავე ტრაგიკულ ამბავს გვიყვება – რომ სიყვარული არსებითად შეუსაბამოა ცხოვრების აქტუალურ პროზასთან, ან საერთოდ სიცოცხლესთანაც კი, რადგან სიყვარულს ისეთი კანონები აქვს, რომ მის გარდა სხვა არაფრისთვის გვიტოვებს ძალას.

გოეთეს ვერთერისეული სიყვარული („ახალგაზრდა ვერთერის ვნებანი“) ადამიანს დისფუნქციურს ხდის – როცა სიყვარულის ობიექტის ფიზიკური სიახლოვის მიუხედავად, ვერთერი მტკივნეულად აცნობიერებს, რომ ის ვერასდროს ამოავსებს იმ სიცარიელესა და უშინაარსობას, რომლის მიზეზიც მისი შეუყვარებლობაა, რაკი შარლოტე ყოველთვის სხვაგან იქნება და ეს კი ყოველთვის მარტო და მისი უკმარობით დასჯილი.

ვერთერის შემთხვევაში სიყვარული სნეულებაა და ის მხოლოდ იმ გზით გათავისუფლდება ამ დაავადებისგან, რაც შემდეგ ვერთერის სინდრომის სახელით გახდება ცნობილი: სასიკვდილო გათავისუფლებით სიყვარულის უკმარობისგან.

მაგრამ ეს ვერთერის შემთხვევაში, თორემ პლატონის „ნადიმში“ ეროსი იქ ცოცხლობს, სადაც სწორედ უკმარობაა, სადაც სიყვარული არასრულყოფილების, სულიერი ნაკლულობის კომპენსაციად არის მიჩნეული – როცა უსიყვარულო (ანუ არასრულყოფილი) ადამიანი მხოლოდ მეორით, სხვა ადამიანით თუღა შეძლებს მთლიანობის აღდგენას. პლატონის შეყვარებული ხომ ყოფილი ანდროგინია, ზევსის მიერ ორად გახლეჩილი ერთი არსება, რომელიც მუდმივად ეძებს დაკარგულ ნახევარს.



რომეოსა და ჯულიეტას სიყვარული ექსტრემალურია, ისინი კაპულეტების საძვალეშიც კი ვნების პიკზე არიან, მაგრამ ადამიანებმა შეუძლებელია დიდხანს გაუძლონ უწყვეტ აპოთეოზს, ისინი აუცილებლად დაიფერფლებიან გრძნობების ამგვარი ინტენსიურობის პირობებში, რადგან შეუძლებელია ასე გიყვარდეს დიდხანს – სხეული ამას ვერ გაუძლებს... აკი ამიტომაც არიან შექსპირთან ეს შეყვარებულები 13-16 წლისანი, რადგან მხოლოდ ასეთ არადიდებს (და აზარტულებს) შეუძლიათ ყველაფრის გაღება ერთმანეთისთვის, სადაც ყველა რაციონალურ და მეტიც, ბიოლოგიურ კანონს აუქმებს მათი სიყვარული, სიკვდილის კანონსაც კი, როცა სიკვდილიც კი თამაში და ფიქცია ხდება მათ ხელში.

შეუძლებელია რომეოსა და ჯულიეტას წარმოდგენა ოცდაათ წელს ზემოთ, რადგან შეუძლებელია არ იყო მუდამ 13 წლის, როცა ასე გიყვარს. 30 წლისას ძალა აღარ გრჩება საამისოდ, თუკი ბალზაკის პერსონაჟი ქალის მსგავსად, 30 წლის შემდეგ არ აღმოაჩენ საკუთარ თავში ქალს, ანუ რაღაც არსობრივს, რომელიც თურმე შენში ყოფილა და ეს არ გცოდნია.

სიყვარული ადამიანს მე-ს ათმობინებს სხვის სასარგებლოდ, როცა იდენტობა სხვას ეწირება მსხვერპლად და სადაც სიყვარულის სასარგებლოდ ყველა კომპრომისი დასაშვებია, თუკი გინდა, რომ გიყვარდეს და მასაც თავდავიწყებით უყვარდე, როგორც ამას ტოლსტოის ანა კარენინა სჩადის, როცა სიყვარული მისთვის ომია, სხვათა გაწირვაა ერთის სასარგებლოდ, ამბოხება, აქამდე არსებული ნორმების და რუტინის უარყოფა, ნგრევა... როცა მტყუანი ხარ შვილთან, მართალ ქმართან, მორალისტ საზოგადოებასთან, მაგრამ ბედნიერი ხარ შენი სიყვარულით და ისინი კი მართლები, თუმცა უსიყვარულონი და უბედურები არიან.

მარსელ პრუსტისთვის სიყვარული არქეტიპის ძიებაა, არა სუბიექტის, არამედ მდგომარეობის, როცა ადამიანი თავად სიყვარულშია შეყვარებული, სიყვარულის მოდელში, რომელიც დრო და დრო ჟილბერტა, ოდეტი, ალბერტინა თუ დედამისია, ვინც ძილის წინ აღარ კოცნის პატარა მარსელს და ეს კი სწორედ ამ დაკარგული სიყვარულის მოხელთებას ცდილობს თავის რომანში... ალბერტინა სიყვარულის ხატია, რომლის ძიებაც დაკარგული დროისთვის მნიშვნელობის, შინაარსის მიცემის შესაძლებლობაა, რადგან მხოლოდ იქ და მაშინ არსებობ, სადაც გიყვარს, დროს ფლობ, მაშინაც კი, როცა ფიზიკურად ვეღარ ფლობ სიყვარულის ობიექტს, რაც ასევე მნიშვნელოვანია და რაც იქნებ ადიქციადაც იქცეს (მარსელი სწორედ ამ ადიქციას იკვლევს „დაკარგული დროის ძიების“ მეხუთე ნაწილში, „ტყვე ქალში“, როცა ცდილობს, შეყვარებული მხოლოდ მისი იყოს და მასთან, პირდაპირი მნიშვნელობით მის საძინებელში გამოკეტილი). მარსელისთვის სიყვარული შეყვარებულის სხეულის ფლობაა, როცა არქეტიპმა დროებით მაინც უნდა დაივანოს ფიზიკურ ჩარჩოში.

განა ამიტომ არ ჩადის ორფეოსი მკვდართა საუფლოში, რათა შეყვარებული სხეულებრივად დაიბრუნოს უკან?! მაგრამ

გაგრძელება მე-6 გვერდზე

## ასტროპროგნოზი

6 სექტემბრისთვის



**ვერძი** – ფუჭი საუბრები, არასაჭირო ურთიერთობები უსიამოვნებას შეგამთხვევთ. კრიტიკული დღეა. საყიდლებზე წასასვლელად სხვა დრო შეარჩიეთ. **კურო** – ფინანსებს გაუფრთხილდით. ფული ეკონომიურად ხარჯეთ. გარისკვა გაუმართლებელია. **ტყუპები** – მიღებულ შემოთავაზებას უყურადღებოდ ნუ დატოვებთ. მეგობრებთან ურთიერთობა გაგახალისებთ. **კირჩხიბი** – ოცნება აგისრულდებათ. საქმიანი შეხვედრები სასურველ შედეგს არ გამოიღებს. **ლომი** – დღის ნეგატიურ ტენდენციებს თქვენი სითამამე და აქტიურობა გააქარწყლებს. ერიდეთ კონფლიქტს კოლეგებთან. **ქალწული** – ემოციები აკონტროლეთ. მოთმინება და თავშეკავება უსიამოვნებას თავიდან აგაცილებთ. **სასწორი** – კეთილისმყოფელი დღეა სოციალური კონტაქტებისათვის. პირად ცხოვრებაში ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციები ჭარბობს. **მორიელი** – საქმიანი ურთიერთობები არ გაამართლებს. გუნებაგანწყობა ხშირად გეცვლებათ. **მშვილდოსანი** – კომერციულ სფეროში არ იაქტიუროთ. კარგი იქნება დასვენება და გართობა უახლოესი მეგობრების წრეში. **თხის რქა** – ახალგაცნობილ ადამიანებთან ურთიერთობისას იფრთხილეთ. ამბიციურობა და კატეგორიულობა დღეს დაგაზარალებთ. **მერწყული** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. ზომიერება დაიცავით ნებისმიერი საქმიანობისას. სერიოზულ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. **თევზები** – რეალობა ადეკვატურად მიიღეთ. ილუზიებისაგან საჩქაროდ გათავისუფლდით. ჯანმრთელობას მეტი ყურადღებით მოეკიდეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. გურამ ფანჯიკიძის რომანი; 2. იაპონური სამრეწველო-ფინანსური კონცერნი; 3. პოლიტიკური პარტია ისრაელში; 4. მდინარე ვარშავაში; 5. წითელი ფერის იტალიური სადესერტო ღვინო; 8. ქართული ორცხობილა; 12. შაქრის ლერწმისგან დამზადებული არაყი; 13. ევერესტის დამლაშქრავი ქართველი ალპინისტი; 14. მთიანეთი ევროპაში; 16. სამონასტრო კომპლექსი თბილისის მახლობლად; 18. მარადმწვანე წიწვოვანი ხე; 20. საკანონმდებლო ორგანოში შეტანილი კანონპროექტი.

**თარაზულად:** 6. პირი, რომელიც არც ერთი ქვეყნის მოქალაქედ არ ითვლება; 7. ძვირფას ქვებზე მხატვრული კვეთის ხელოვნება; 8. აჭარული ცეკვა; 9. გიორგი ერისთავის პიესა; 10. ბუნებრივი ნაკრძალი აჭარაში; 11. მცირე ამპლიტუდის რხევები; 15. რაჭაში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 17. ქართველი მწერალი, რომან „რკინის თეატრის“ ავტორი; 19. საფეხბურთო სტადიონი ბუენოს-აირესში; 21. გია დანელიას კინოკომედია; 22. ქვეწარმავლების სადგომი ზოოპარკში; 23. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი იტალიური ფირმა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

